

## ტრამპმა ირანს 14-ტონიანი ბომბებით შეუტია!

იხ. 2 გვ.

# როდის დამთავრდება ეს საშინელება?!

პაპი ლეო XIV:

## მსოფლიო ომს არ უნდა შეეგუოს!




# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№88-89 (9919-9920) 2025 წლის 23 ივნისი, ორშაბათი


## SOS! ბრიტანეთის საელჩოს რისხვა გასაგებია — 6



## ვერ შედგა რევოლუცია და ტაქტიკას ცვლიან!

British Embassy Tbilisi

ვინ აღვივებს ეთნიკურ და რელიგიურ შუღლს?!

## სცენაზე გაცოცხლებული „ლევილის დედა“



12

„სამშობლოს მონატრებით საფრანგეთში გარდაცვლილი ქართველი ემიგრანტების ძვლები მოაგროვა და დაკრძალა...“

## საქართველოში დღეს სიტყვის თავისუფლება კი არა, სიტყვიერი განუკითხაობაა

რას ედავება ხელისუფლება სამ ტელევიზიას? 3

მთავარი არხი · TV პირველი · ფორმულა

ბიძინა ივანიშვილი:

## გილოცავთ უდიდეს გამარჯვებას!

### საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონია!



„ეს ისტორიული შედეგი არის დაუღალავი შრომის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ქვეყნის სიყვარულის შედეგი. მადლობა მინდა გადავუხადო მოჭიდავეთა ეროვნული გუნდის თითოეულ წევრს, რომლებმაც შესაძლებლობების მაქსიმუმი გაიღეს და ჩვენი ქვეყნის დროშა მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველა სხვა დროშაზე მაღლა ააფრიალეს.

ამ გამარჯვებას კიდევ უფრო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ის ფაქტი, რომ საქართველოს ქალ და ვაჟ ძიუდოისტებს ერთობლივად მსოფლიოს პირველობა აქამდე არ მოუგიათ. კიდევ ერთხელ ვულოცავ ეროვნულ ნაკრებს და სრულიად საქართველოს ისტორიულ გამარჯვებას“!

* * *

ხელისუფლების წარმომადგენლებმა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონობა მიულოცეს.

## პირველად ისტორიაში!..



თემო ნაცვლიშვილი

## მეგზური ქართველთა იდენტობის სივრცეში

10

ლაშა გახარია

## ...დანარჩენს მერე გეტყვი



იხ. 16 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
დაიმახსოვრეთ ეს დღე!
№88-89. ორშაბათი, 23 ივნისი, 2025 წელი

# ექსპერტები რადიაციის გაჟონვაზე ექვობენ!



# ტრამპმა ირანს 14-ტონიანი ბომბებით შეუტია!

**აშშ ისრაელი-ირანის კონფლიქტში ჩაერთო და ირანის სამ ბირთვულ ობიექტზე წერტილოვანი საჰაერო იერიში მიიტანა. ირანის ბირთვული ობიექტები — ფორდო, ნატანზი და ისპაჰანი მიწაში, ათობით მეტრის სიღრმეზე მდებარეობს, რაც მისი განადგურების მხრივ გამოწვევაა. სწორედ ამიტომ, ოპერაციისას აშშ-მა მაღალტექნოლოგიური, 14-ტონიანი ბომბები გამოიყენა.**

**ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ცნობით, ირანში სამ ბირთვულ ობიექტზე დარტყმების შემდეგ ობიექტების გარეთ რადიაციის დონის მატება არ გამოვლენილა.** ექსპერტების თქმით, იმ შემთხვევაშიც, თუ რომელიმე ბირთვული ობიექტიდან რადიაცია გაჟონავს, ნაკლებ სავარაუდოა, რომ მან ობიექტებთან ახლოს მცხოვრებ ან მოშორებით (ფართო რეგიონში) მყოფ ადამიანებს საფრთხე შეუქმნას.

**„ამ ტიპის თავდასხმების დროს ძალიან ცოტა ურანი გამოიყოფა",** – ამბობს AP News-სთან საუბარში ფიზიკოსი და ბირთვული იარაღის ექსპერტი, **დევიდ ოლბრაითი.**

მისივე თქმით, ურანი განსაკუთრებული ტოქსიკურობით არ გამოირჩევა – ის ზღვის წყალში და დედამიწის ქერქშიც გვხვდება.

როგორც ოლბრაითი აღნიშნავს, იმისთვის, რომ ადამიანი დაავადდეს, ურანის დიდი რაოდენობით არსებობაა საჭირო.

**რა არის ირანის ბირთვული პროგრამა?**

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) თანახმად, ირანის ბირთვული პროგრამა 1950-იანი წლებიდან იღებს სათავეს. იგი ურანის გამოყენებისთვის საჭირო ყველა პროცესს აერთიანებს. ამ პროგრამის ფარგლებში ირანში არაერთი დაწესებულება ფუნქციონირებს:

**– ბონაბში, თეირანსა და ფორდოში კვლევითი დაწესებულებებია;**

**– ბუშერში ბირთვული ელექტროსადგურია;**

**– საგანდსა და განდარ აბასში ურანის საბადოებია;**

**– არაქსა და ისფაჰანში ურანის გადამუშავების ქარხნებია;**

**– ნატანზშია ურანის გამდიდრების ქარხანა;**

**ურანის გამდიდრება პროცესია, რომლის დროსაც ამ ნივთიერების კონკრეტული კომპონენტის, 235U-ის, კონცენტრაციას უზრდიან. 235U ურანის, ქიმიური ელემენტის, კონკრეტული იზოტოპია (იზოტოპები ერთი ელემენტის სხვადასხვა ვარიანტია, რომლებსაც სხვადასხვა მასა აქვს). იგი ბირთვული ენერგიის ან იარაღის მისაღებად დანარჩენ იზოტოპებზე ეფექტიანია.**

**მსოფლიოს ბირთვული ასოციაციის მიხედვით, ნივთიერება ურანში 235U დაახლოებით 0.7% რაოდენობით გვხვდება (დანარჩენი წილი 238U-ს უკავია), ეს კი გამოსაყენებლად საკმარისი არ არის ხოლმე. ბირთვული ენერგიის მისაღებად ურანი ზემოხსენებული იზოტოპით 3-5%-ამდე უნდა იყოს გამდიდრებული, ბირთვული იარაღის შექმნისთვის კი 90% ან მეტია საჭირო.**

**ირანმა 60%-ამდე მიაღწია, ეს კი მშვიდობიანი მიზნებისთვის საჭირო ზღვარს სცდება და ბევრად ახლოა იარაღის შესაქმნელად საჭირო კონცენტრაციასთან. IAEA-ს შეფასებით, თუკი ურანის გამდიდრებას განაგრძობენ, ეს მარაგი 6 ბომბის შესაქმნელად საკმარისი იქნება.**

## სენატს არაფერი ჰკითხა!



**აშშ-ის სენატში უმცირესობის ლიდერი ჩაკ შუმერი დონალდ ტრამპისგან პასუხს ითხოვს, კონგრესთან შეუთანხმებლად ირანზე დარტყმების განხორციელების გამო!**

**ჩაკ შუმერი** მიიჩნევს, რომ ტრამპის ადმინისტრაციის ქმედებების შედეგად უფრო ფართო, ხანგრძლივი და დამანგრეველი ომის საფრთხე მკვეთრად გაიზარდა.

**„პრეზიდენტმა ტრამპმა უნდა გასცეს ამერიკელ ხალხს და კონგრესს მკაფიო პასუხი ამ ღამით განხორციელებულ ქმედებებსა და ამერიკელების უსაფრთხოებისთვის მათ შედეგებზე“,** – ნათქვამია ჩაკ შუმერის განცხადებაში.

როგორც დემოკრატი სენატორი აღნიშნავს, არცერთ პრეზიდენტს არ უნდა მიეცეს უფლება, ცალმხრივად ჩარიოს ქვეყანა ომის მსგავს მოვლენებში არამდგრადი მუქარებით და სტრატეგიის გარეშე.

**„ჩვენ უნდა ავასრულოთ ომის უფლებამოსილების აქტი და მე მოვუწოდებ სენატში უმრავლესობის ლიდერს, ტუნს დაუყოვნებლივ დააყენოს ეს საკითხი სენატში განსახილველად. ირანის ტერორის დაუნდობელ კამპანიასთან, ბირთვულ ამბიციებსა და რეგიონულ აგრესიასთან დაპირისპირება მოითხოვს სიძლიერეს, სიმტკიცეს და სტრატეგიულ სიცხადეს. უფრო ფართო, ხანგრძლივი და დამანგრეველი ომის საფრთხე ახლა მკვეთრად გაიზარდა“,** – აღნიშნულია შუმერის განცხადებაში.

## ისრაელის პრეზიდენტი: გმადლობთ, პრეზიდენტო ტრამპ!



**ეს არის გადამწყვეტი მომენტი ტერორსა და იმედს შორის,** – ასე გამოეხმაურა ისრაელის პრეზიდენტი **ისააკ ჰერცოგი** აშშ-ის დარტყმებს ირანის ბირთვულ ობიექტებზე.

**„კაცობრიობის ისტორიაში ეს არის მომენტი, როდესაც თავისუფლების, პასუხისმგებლობისა და უსაფრთხოების პრინციპებმა იზეიმა. გადამწყვეტი მომენტი ტერორის და ბოროტების ღერძსა და იმედის ღერძს შორის. მადლობა, პრეზიდენტო ტრამპ, მადლობა, აშშ. ეს ვაჟკაცური ნაბიჯი ემსახურება მთელი თავისუფალი მსოფლიოს უსაფრთხოებას და დაცულობას. ვიმედოვნებ, რომ ამას შედეგად მოჰყვება ახლო აღმოსავლეთისთვის უკეთესი მომავალი და ხელი შეეწყობა ღაზაში დატყვევებული ჩვენი მძევლების სასწრაფო გათავისუფლებას“,** – წერს **ჰერცოგი** სოციალურ ქსელ X-ში.

ამასთან, ისრაელის პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ბოლო საათებში ირანის სარაკეტო დარტყმებით გამოჩნდა, რომ ეს კამპანია ჯერ არ დასრულებულა.

**„მომავალი დღეები, შესაძლოა, იყოს სენსიტიური, რთული და გამოწვევებით სავსე“** , – აღნიშნავს ის და ისრაელის მოქალაქეებს მოუწოდებს, გააგრძელონ ინსტრუქციების შესრულება, აჩვენონ პასუხისმგებლობა და სიმტკიცე, როგორც ამას აქამდე აკეთებდნენ.

## კარლ ბილდტი: ირანის დაბომბვა საერთაშორისო სამართლის აშკარა დარღვევაა!



**„აშშ-ის მიერ ირანის დაბომბვა საერთაშორისო სამართლის აშკარა დარღვევაა",** – ამის შესახებ შვედეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი **კარლ ბილდტი** აცხადებს.

**„არ მსურს, მოვისმინო ევროკავშირის განცხადებები იმის შესახებ, რომ აშშ-ს აქვს თავდაცვის უფლება. ეს საერთაშორისო სამართლის აშკარა დარღვევაა“,** – წერს შვედეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი.

## ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი: აგრესიაზე პასუხი იქნება აგრესია



**„ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო თავდასხმა გაეროს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობასა და ეროვნულ სუვერენიტეტზე, კიდევ ერთხელ ავლენს შეერთებული შტატების მტრულ დამოკიდებულებას მშვიდობის მაძიებელი ირანელი ხალხის მიმართ, რომელიც არასდროს წავა კომპრომისზე საკუთარი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ხარჯზე,”** – ეს განცხადება ისლამური სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრმა **აბას არაღჩიმ** საერთაშორისო მედიასთან მას შემდეგ გააკეთა, რაც აშშ-მა ირანის სამი ბირთვული ობიექტი დაბომბა.

როგორც ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, მათ მოლაპარაკებებისკენ ნაბიჯი გადადგეს და, მისივე თქმით, სწორედ ამ დროს დაბომბეს თეირანი. აბას არაღჩის თქმით, **„აგრესიაზე პასუხი იქნება აგრესია”.**

## ირანის ატომური სააგენტო: ბირთვული ინდუსტრია არ გაჩერდება...

**ირანის ატომური ენერგიის სააგენტო გმობს შეერთებული შტატების დარტყმებს ქვეყნის ბირთვულ ობიექტებზე და აცხადებს, რომ მისი ბირთვული ინდუსტრია არ გაჩერდება.**

სააგენტო ადასტურებს, რომ გამთენიისას მის ძირითად სამ ბირთვულ ობიექტზე თავდასხმა განხორციელდა, რასაც საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევად აფასებს და მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, მომხდარი დაგმოს. სააგენტოს განცხადებით, ირანის ხელისუფლება არასდროს დაუშვებს, რომ ეროვნული ბირთვული ინდუსტრიის პროგრესი შეწყდეს.

## ირანმა პირველად გამოიყენა მესამე თაობის მრავალქობინიანი ბალისტიკური რაკეტა

**ირანმა ისრაელზე თავდასხმისთვის პირველად გამოიყენა მესამე თაობის მრავალქობინიანი „ხეიბარ შეკანის“ ბალისტიკური რაკეტა.**

ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ რაკეტამ წარმატებით მიაღწია დასახულ მიზნებს. ირანის მხრიდან ისრაელზე თავდასხმის მეოცე ტალღა რამდენიმე საათში განხორციელდა მას შემდეგ, რაც შეერთებულმა შტატებმა განაცხადა, რომ ფორდოში, ნატანზსა და ისპაჰანში მდებარე სამ ირანულ ბირთვულ ობიექტს დაარტყა. ირანში აცხადებენ, რომ ისრაელის სტრატეგიული სამიზნეების მიმართულებით სულ 40 მყარი და თხევადი საწვავით მომუშავე რაკეტა გაუშვეს. ირანული მედიის თანახმად, რაკეტები იყენებდნენ მანევრირებად ქობინებს, რომლებსაც შეეძლოთ დაშვების დროს ტრაექტორიის რეგულირება, დარტყმამდე ორიენტირების შენარჩუნება და მრავალი მაღალფეთქებადი, ძლიერ დამანგრეველი ტვირთის გადატანა.



# SOS!

## ვინ აღვივებს ეთნიკურ და რელიგიურ შუღლს?!



## სოსო მანჯავიძე:

# ბრიტანეთის საელჩოს რისხვა გასაგებია — ვერ შედგა რევოლუცია და ტაქტიკას ცვლიან!

**პენსიაზე გასულ აშშ-ის ელჩს დიდი ბრიტანეთის საელჩო ჩაენაცვლა. დიპლომატიური მისია აცხადებს, რომ გააგრძელებს იმ არასამთავრობოების დაფინანსებას, რომლებიც ჩართული არიან რადიკალური პროცესების ორგანიზებასა და მართვაში. პარლამენტის თავმჯდომარის ოფიციალური წერილის მიუხედავად, დიდი ბრიტანეთის საელჩო არ ასაჯაროებს, ვის რა თანხით აფინანსებდა 2024 წლის არჩევნების წინ და რა თანხით აფინანსებს დღეს. სხვა ქვეყანაში პროპაგანდის და ექსტრემიზმის დაფინანსება საერთაშორისო სამართლის დარღვევაა, თუმცა საელჩო ჯიუტად ამტკიცებს, რომ არ ცნობს საერთაშორისო სამართალს.**

**რა მიზანი აქვს ბრიტანეთის საელჩოს? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge პოლიტოლოგ სოსო მანჯავიძეს ესაუბრა.**

**– ათი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ბრიტანეთის საელჩოსგან შალვა პაპუაშვილი ითხოვს გაასაჯაროვონ, ვის და რა თანხით აფინანსებდა 2024 წლის არჩევნების წინ და ვის და რა თანხით აფინანსებს დღეს, თუმცა საელჩო ამ ინფორმაციას არ ასაჯაროებს და განცხადებას, განცხადებით პასუხობს. ბატონო სოსო, რას გვერჩის ბრიტანეთის საელჩო, რომელმაც აშშ-ის საელჩო ჩაანაცვლა?**

– გასაგებია რაც უნდათ – ბრიტანეთს საქართველოს ხელისუფლების ჩანაცვლება უნდა, მაგრამ რატომ და როგორ, ეს გეოპოლიტიკური საკითხია, რაზეც არაერთხელ გვისაუბრია. ეს უნდა განვიხილოთ იმ პროცესებთან ერთად, რაც მიმდინარეობს ირანში, უკრაინაში, ასევე, რაც მიმდინარეობდა სირიაში და ა.შ. ბრიტანეთს არ აწყობს აქ შუა დერეფნის ფუნქციონირება და ჩინეთის დიდი აბრეშუმის გზის განხორციელება. ამ ლოჯისტიკური გზების ბლოკირებისთვის და კონტროლისთვის ისინი აფინანსებენ ამ ჯგუფებს.

**– კონტროლი რას ნიშნავს?**

– როცა, შენ გყავს მორჩილი მთავრობა, აკონტროლებ ლოჯისტიკურ გზებს და შესაბამისად, გაქვს გეოპოლიტიკური აქტი. გარდა ამისა, გაქვს საშუალება, შემდგომ განავითარო ის სტრატეგია, რომელსაც ჰქვია ჰარტლენდის კონტროლის ამოცანა. ეს არის დიდი გეოპოლიტიკა. შესაბამისად, საინფორმაციო ეპოქაში გრძელდება დიდი გეპოლიტიკური თამაში ახალი ფორმებით და საშუალებებით. ჩვენც ამ თამაშის ნაწილი ვართ და აქედან გამომდინარეობს ის აღვირახსნილი ტყუილები და წინასწარ დაგეგმილი ფალსიფიკაციები, რაშიც მრავლსაუკუნოვანი ცოდნა და გამოცდილება აქვს ბრიტანულ დაზვერვას.

ხომ გვახსოვს და სხვათა შორის, წინასწარ ვსაუბრობდი იმის შესახებ, რას იტყოდა ქართული ოპოზიცია არჩევნების შემდეგ. ხომ ზუსტად იგივე თქვეს, რაზეც ვსაუბრობდი? ისიც მითქვამს არაერთგზის, რა იყო მიზანი და ე.წ. შარლ მიშელის ამოცანა რა იყო. ფაქტობრივად, დაიმორჩილეს საქართველოს ხელისუფლება და ხელი მოაწერინეს სასიკვდილო განაჩენზე – პროპორციული არჩევნები ნულოვანი ბარიერით. ხომ გვახსოვს, რა ზეწოლა იყო? დაარღვევინეს ყველა კანონი, პირდაპირ ვთქვათ, პოლიტპატიმრებად გამოაცხადებინეს კრიმინალები. ფაქტობრივად, მათთვის არასასურველ „ქართულ ოცნებას“ მხარდამჭერების მხარდაჭერა მოუსპეს.

**– ეს რა მიზანს ემსახურებოდა, რა გათვლა იყო?**

– „ოცნების“ მხარდამჭერები მოითხოვდნენ პოლიტიკური მოწინააღმდეგეების და მე-5 კოლონის განეიტრალებას და ვერ აცნობიერებდნენ იმას, რომ იმ პირობებში მათი განეიტრალება გამოიწვევდა დასავლეთის პირდაპირ აგრესიას, რომელსაც ვერ გაუძლებდა ხელისუფლება. მოგეხსენებათ, რომ ამის ინსტრუმენტი ძალიან ბევრი აქვს დასავლეთს. შეგახსენებთ, ამდენი ხანი ხალხს ეგონა, რომ მივდიოდით ევროკავშირისკენ და ნატოსკენ.

British Embassy
Tbilisi

**– ამაში ხელს უწყობდა „ქართული ოცნებაც“...**

– კი ბატონო. „ოცნება“ ხელისუფლებაში რომ მოვიდა, ეს ვალდებულება აიღო – დადო ასოცირების ხელშეკრულება და ა.შ. კონსტიტუციაში წერია, რომ ნატოსკენ და ევროკავშირისკენ მისწრაფებას უნდა დავუქვემდებაროთ ყველა მოქმედებაო. ეს იყო მართვის ინსტრუმენტი. თუ შენი მოქმედებები არ ექვემდებარება კონსტიტუციაში გაცხადებულ მიზანს, შენ თვითონ ხარ არალეგიტიური. აი, ეს მიზანი იყო.

როდესაც დაინახეს, რომ მთლად არ გამოდიოდა საქართველოს გამოყენება იმისთვის, რისთვისაც საქართველო სჭირდებოდათ და საქართველომ მოინდომა, რომ თავხედურად არ ჩართულიყო უკრაინის ომში, ამავე დროს საქართველოს ხელისუფლებამ თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გარკვეული დივიდენდების მიღება მოინდომა, დაიწყო პირდაპირი დარტყმა.

ეს პირდაპირი დარტყმა, ბუნებრივია, გამაოგნებელი იყო. თავისი მართული მედიასაშუალებებით აწარმოებდნენ ნეიროლინგვისტიკურ პროგრამირებას, თითქოს უდიდესი სიკეთის მომტანი იყო პროპორციული არჩევნები ნულოვანი ბარიერით, რადგან ეს არის დემოკრატიის პიკი. სინამდვილეში ეს არის ქვეყნის მართვის ინსტრუმენტი და თავიდანვე ვამბობდით, რომ თუ არ იქნებოდა მაჟორიტარული სისტემა, დასავლეთს საერთოდ ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ გავუწევდით და ისინიც თავიანთი მართული პარტიებით გააკეთებდნენ იმას, რაც უნდოდათ.

**– თუმცა, შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ დააწესა ბარიერი...**

– დააწესა და გვახსოვს, მაშინ რა რეაქცია იყო, ლამის, ომი გამოგვიცხადეს. ბარიერის მიუხედავად, როდესაც აქეთა მხარეს არის სახელისუფლებო პარტია და იქითა მხარეს სხვა პარტიები, როგორც წესი, პროპორციული არჩევნების დროს ერთი პარტია ვერ იღებს უმრავლესობას. როგორც წესი, ეს ასეა, იმიტომ, რომ ხელისუფლებას აქვს თავისი ცოდვები და ოპოზიცია მართული ტელევიზიებით ხალხზე ზემოქმედებს, ტყუილს და მართალს კი მნიშვნელობა არ აქვს.

ვხედავთ რა პროპაგანდა მიმდინარეობს და რად გადააქციეს ტელევიზიები, როდესაც ნებისმიერი სტიქიური უბედურება, მკვლელობა და ა.შ. პოლიტიკურში გადაჰყავდათ. ღია ეთერში გასვენებებს გვაჩვენებდნენ და ა.შ. ამაზრზენი მოქმედებების რომელი ერთი ეპიზოდი გავიხსენო. ბუნებრივია, ეს პროპაგანდა მუშაობდა. ამ პროპაგანდის საშუალებები ენჯეოები და პარტიები კი დასავლეთის მფარველობის ქვეშ იყვნენ.

**– კონკრეტულად, ვისი მმართველობის ქვეშ იყვნენ და ვინ მართავდა ამ პროცესებს?**

– საელჩოები მართავდნენ ამ პროცესს, რომლებსაც მხარს უჭერდნენ მათი ქვეყნები. გადაბირებული იქნენ პოლიტიკური თანამდებობის პირები. სურათი ასეთი იყო: მესამე პრეზიდენტი სააკაშვილი ციხეშია, მეოთხე პრეზიდენტი ოპოზიციაშია მეუღლითურთ და მეხუთე – ზურაბიშვილი, „ქართული ოცნების“ მთავარი არქეოლოგიური აღმოჩენა, „განძი“ ოპოზიციაშია. მთელი ენჯეოსექტორი მათია, მათ შორის საინფორმაციო სივრცეში დიდი უპირატესობა აქვთ და პლუს დასავლეთის ბერკეტები და თან შეიმუშავეს ტექნოლოგია – დაარქვეს კოალიციები, შექმნეს დეპერსონალიზებული კერპი, რომელიც დაუპირისპირეს „ქართულ ოცნებას“ და ელოდნენ, რომ გაიმარჯვებდნენ, მაგრამ ვერ გაიმარჯვეს და შესაბამისად, ჩართეს მეორე ბერკეტი.

**– რა არის ეს მეორე ბერკეტი?**

– თუ გაიმარჯვებ, გაიმარჯვებ. დაიწყება რეჟიმის ცვლილების ოპერაცია, ან სამოქალაქო დაპირისპირებით ამ დერეფნის ბლოკირება, ანუ გეოპოლიტიკური ამოცანის შესრულება. ან, თუ ვერ იმარჯვებ, მაშინ ვიტყვით, რომ ხელისუფლება არალეგიტიმურია და ჩაირთო ეს ოპერაცია. შეთხზეს ლეგენდა, რომ ოპოზიციის მომხრე 400 ათას ადამიანს ძალადობრივი გზით წაართვეს პირადობა და გააკეთეს კარუსელი, რისი მეშვეობითაც გაიმარჯვეს. ამავე დროს, „მელანმაც გაჟონა“...

ყველაზე დიდი პარადოქსი ის იყო, რომ ყველა კომისიაში ჰყავდათ თავიანთი წარმომადგენლები და სხვათა შორის კომისიის დაკომპლექტების წესიც თვითონ მოიგონეს. ყველაზე გამჭვირვალე წესით და ელექტრონული წესით ჩაატარეს არჩევნები, თან თქვეს, რომ ამ სისტემით შეუძლებელია გაყალბებაო, რაც ერთადერთი სიმართლე იყო მათი პირიდან ამოსული და მივიღეთ ის შედეგი, რაც მივიღეთ, მაგრამ განუწყვეტლივ იმეორებენ წარმოუდგენელ სიგიჟეებს.

**– ვაღიაროთ, რომ დაარწმუნეს ბევრი ადამიანი...**

– ადამიანი მოწყვლადია. როცა განუწყვეტლივ იმეორებ ერთი და იგივე სიგიჟეს, ადამიანების გარკვეული პროცენტი იჯერებს. ე.წ. მგალობელი ჩიტის ეფექტის ტექნოლოგიაა. ექსპერიმენტი გააკეთეს – ადამინები სხედან, ცდის პირი შემოდის და ეუბნებიან, ესა თუ ის ბურთულები შავია, თუ თეთრია. ვინაიდან კომისიის წევრები თეთრზე შავიაო, იძახიან, ათიდან ხუთი ცდის პირი, ეთანხმება. აი, ეს ტექნოლოგია არის გამოყენებული.

ჩვენი მოსახლეობის გარკვეული ჯგუფი რომ გააჩერო, გიპასუხებს, რომ 400 ათას კაცს გამოართვეს პირადობა, ოღონდ ვერავინ ვერ გაიგო, რომ არჩევნები გაყალბდა, მაგრამ კომისიის წევრები, რომლებიც იქ იჯდნენ და ერთი ოქმი არ დაუწერიათ, რომ გაყალბდა, გაჟონა, ეს არაფერი. ეს საგიჟეთი მოაწყვეს და ბევრმა, სამწუხაროდ, დაიჯერა.

აქედან გამომდინარე, ბრიტანეთის საელჩოს რისხვა გასაგებია – ვერ გააკეთეს რევოლუცია, ვერ შეცვალეს არაკონსტიტუციური გზით ხელისუფლება და ახლა გესლს ანთხევენ და ცვლიან ტაქტიკას – ცდილობენ გამოიწვიონ ეთნიკური და რელიგიური შუღლი, რაშიც ჩართეს აბსურდული ტყუილები. რაც უფრო აბსურდული და დაუჯერებელია ტყუილი, მით უფრო მეტად მოქმედებს ადამიანზე. ადამიანი არაცნობიერად ფიქრობს – როგორ შეიძლება ასეთი რამ მოიფიქრო თუ რაღაცა საფუძველი არ არის? ასე შეგიძლია ადამიანს თავს მოახვიო ტყუილი.

**– რაზე აქვთ გათვლა?**

– რა თქმა უნდა, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, მათ გათვლილი აქვთ რელიგიური დაპირისპირების გაღვივება. გასაგებია, ბევრი ისტორიული ძნელბედობა გვაქვს გადატანილი, გვაქვს მტკივნეული განცდა, მტკივნეული ისტორიული წყენები და ამის საფუძველზე წამოკიდება და არასასურველი პროცესების გაჩაღება, ზუსტად მაგათი ხელწერაა. იმედია, ქართველი ხალხის კეთილგონიერი ნაწილი ამას წინ აღუდგება და ამ ავანტიურისტებს და მეხუთე კოლონას არ მისცემს საშუალებას, ქვეყანაში ააგორონ ახალი სიგიჟე.

დავაკვირდეთ, ლექსიკაც კი ერთნაირი აქვთ – არალეგიტიმური ხელისუფლება. საინტერესოა, რომ გააღვიძო ახლა ესენი და ჰკითხო – არალეგიტიმურ ხელუსუფლებას რომ იძახი, ლეგიტიმურ კონტროლს ვინ განახორციელებს ქვეყნის კონტროლზე? რა შედეგები მოჰყვება ამ არალეგიტიმურის ძახილს, ხომ გასაგებია, ხომ გამოგვივლია ეს ყველაფერი. სამწუხაროდ, ისინი სარგებლობენ ჩვენი თანამოქალაქეების ამბიციური სიგიჟეებით. ვინაიდან, არ არიან ხელისუფლებაში, ნაწყენები არიან. სხვა გასართობი ვერ ნახეს და თავიანთ პირად პრობლემებს, ამბიციებს და ამპარტავნობას ქვეყანას აყოლებენ, რასაც მერე პატრიოტიზმად ასაღებენ.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

**გასაგებია, ბევრი ისტორიული ძნელბედობა გვაქვს გადატანილი, გვაქვს მტკივნეული განცდა, მტკივნეული ისტორიული წყენები და ამის საფუძველზე წამოკიდება და არასასურველი პროცესების გაჩაღება, ზუსტად მაგათი ხელწერაა. იმედია, ქართველი ხალხის კეთილგონიერი ნაწილი ამას წინ აღუდგება და ამ ავანტიურისტებს და მეხუთე კოლონას არ მისცემს საშუალებას, ქვეყანაში ააგორონ ახალი სიგიჟე.**





## გელა გელაძე:

# შსს-ს შესაბამისი დანაყოფები სრულ მზადყოფნაში არიან!

**„ჩვენ, პოლიციელებს, პატრულ-ინსპექტორებს, დაცვის პოლიციელებს, მესაზღვრეებსა და მაშველებს უდიდესი პასუხისმგებლობა გვეკისრება საზოგადოებრივი წესრიგის, მართლწესრიგისა და სამოქალაქო უსაფრთხოების დაცვაში. სწორედ ჩვენი უწყების გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული ტურისტებისა და ადგილობრივი დამსვენებლების უსაფრთხოება და დაცულობა. შესაბამისად, საზაფხულო სეზონს მაქსიმალურად მობილიზებულად, გაძლიერებული რესურსით, განახლებული ტექნიკითა და აღჭურვილობით ვხვდებით“,** – ამის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა **გელა გელაძემ** ბათუმში, ტურისტული სეზონის გახსნასთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას უწყების სხვადასხვა დანაყოფის აქტიური მუშაობის მნიშვნელობას ხაზი გაუსვა.

**„ჩვენი დანაყოფები კოორდინირებულად მუშაობენ სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებთან, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, რათა მაქსიმალურად იყოს დაცული რეგიონში საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება“.**

**გელა გელაძემ განსაკუთრებული ყურადღება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურზე გაამახვილა და განაცხადა, რომ „საზაფხულო სეზონის დაწყებისთვის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის გაძლიერებას. ჩვენი გმირი მაშველების დამსახურებით, ყოველწლიურად ტურისტულ სეზონზე მრავალი ადამიანის სიცოცხლეა გადარჩენილი. წელს შავი ზღვის სანაპირო ზოლზე 250-ზე მეტი მაშველი იზრუნებს მოქალაქეთა უსაფრთხოებაზე და, საჭიროების შემთხვევაში, მუდმივ მზადყოფნაში იქნება 40-ზე მეტი მცურავი საშუალება. მაშველები აჭარაში, გურიასა და სამეგრელოში სრულად აითვისებენ შავი ზღვის სანაპირო ზოლს და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად იქნებიან აღჭურვილნი“.**

აჭარის რეგიონის მცხოვრებლებს ტურისტული სეზონის გახსნა მიულოცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ. როგორც **სულხან თამაზაშვილმა** განაცხადა, მიმდინარე წელს აჭარის რეგიონში ტურისტების რაოდენობა მზარდია და, შესაბამისად, რეგიონი დამსვენებლებს განახლებული ტურისტული პროდუქტებითა და სერვისებით ხვდება.

**„დარწმუნებულები ვართ, რომ წელს ძალიან წარმატებული სეზონი გვექნება. აღსანიშნავია, რომ რეგიონში ვიზიტორების რაოდენობა მზარდია; შესაბამისად, მზარდია ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები. აჭარა საზღვაო ტურისტულ სეზონს ხვდება განახლებული ტურისტული პროდუქტებითა და სერვისებით. გაიხსნა ბევრი ახალი განთავსების, კვების და გასართობი ობიექტი როგორც ზღვის სანაპირო კურორტებზე, ასევე მთიან მუნიციპალიტეტებში. მიმდინარე წელს ეტაპობრივად გავხსნით კიდევ ბევრ ახალ ტურისტულ ობიექტს, მათ შორის ჩირუხში ევროპაში ყველაზე გრძელ ორზოლიან ზიპლაინს.**

**ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, უმნიშვნელოვანესია საზოგადოებრივი წესრიგისა და ჯანმრთელობის დაცვა. დიდი მადლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით საპოლიციო და სამაშველო ძალები განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობენ და ზრუნავენ როგორც ადგილობრივების, ასევე ტურისტების უსაფრთხოებაზე.**

**დარწმუნებული ვარ, რომ სტაბილურობისა და უწყვეტი მშვიდობის პირობებში ტურისტული სეზონი იქნება წარმატებული და წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ორნიშნა ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდება“,** – განაცხადა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ **სულხან თამაზაშვილმა.**

ღონისძიების ფარგლებში შინაგან საქმეთა მინისტრმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ექვსი თანამშრომელი შინაგან საქმეთა სამინისტროს მედლით – „მამაცობისთვის“ დააჯილდოვა.

ღონისძიებას შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე როლანდ მესხი, მოადგილეები – ალექსანდრე დარახველიძე, მარიამ ტაბატაძე, შალვა თადუმაძე, გიორგი ბუთხუზი და შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.

ღონისძიებას, ასევე ესწრებოდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, აჭარის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წევრები, ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი მურვანიძე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და სხვა მიწვეული სტუმრები.

# ევროპის დღეები ბათუმში

**ევროკავშირის ორგანიზებით, ბათუმში ევროპის დღეები იმართება. მიმდინარეობს სახალისო, საგანმანათლებლო, შემეცნებითი და კულტურული აქტივობები.**




ღონისძიებაზე საუბრობენ მიმდინარე და განხორციელებულ პროექტებზე. შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა ევროკავშირის ელჩმა. პაველ ჰერჩინსკიმ საქართველოს ევროკავშირის ურთიერთობებზე გაამახვილა ყურადღება.

**„ქართველების უმრავლესობის არჩევანის გათვალისწინებით, რომ ქვეყანა გახდეს ევროკავშირის წევრი, ევროკავშირი დგას შემდეგ პრინციპებზე: თავისუფლება, დემოკრატია, ადამიანის უფლებები – ეს ის საკითხებია, რაც არ გადაიხედება და უცვლელია“,** – აღნიშნა ჰერჩინსკიმ.



# ჩვენი დროის რომეოს ბიუჯეტის ფულები ჯულიეტაზე მეტად „ნაყვარება“!

## სუს-მა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ყოფილი მოადგილე დააკავა

**საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლების მიერ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და მილიონობით ლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზე, სასამართლოს განჩინების საფუძველზე დაკავებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ყოფილი მოადგილე რომეო მიქაუტაძე. ამის შესახებ ინფორმაციას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ავრცელებს.**

მათივე ცნობით, 2017 წლის 3 ოქტომბრიდან 2024 წლის 9 თებერვლამდე პერიოდში რ. მ.-ს სხვადასხვა მაღალი თანამდებობა, მათ შორის, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობები ეკავა.

**„ჩატარებული გამოძიებით ამ ეტაპზე გამოვლენილია, რომ რ. მ. თანამდებობრივ გავლენას, სანაცნობო წრესა და გამოცდილებას პირადი სარგებლის მიღების მიზნით უკანონოდ იყენებდა ენერგეტიკულ სფეროში სხვადასხვა პირისთვის არამართლზომიერი უპირატესობის მისანიჭებლად. ამ პირე-**



# ხაზარაძის გაბახებული ამბიციები

**ოპოზიციის გაერთიანების შანსებზე და მამუკა ხაზარაძის ფორმულაზე „ნეიტრალური პლატფორმის“ შექმნის შესახებ ანალიტიკოსები სკეპტიკურად საუბრობენ.**

**ისინი for.ge-თან მიიჩნევენ, რომ პოლიტიკურ სპექტრში არსებული ღრმა დაპირისპირება, იდეოლოგიური განხეთქილება და ზიზღი ერთმანეთის მიმართ, ოპოზიციის ერთიანობას გამორიცხავს. ანალიტიკოსების აზრით, ხაზარაძის ინიციატივა რეალობას არის მოკლებული და ოპოზიციის უდიდესი ნაწილის უარი უკვე აჩვენებს, რომ მის იდეას განვითარება არ ექნება. ამიტომ მისი მცდელობა მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური პოზიციის გამყარებაა. თუმცა ესეც სათუოა, რადგან ქართულ საზოგადოებაში პოლიტიკური კაპიტალი არა აქვს და მის მიმართ წარსულის გამო, მხოლოდ უარყოფითი დამოკიდებულება არსებობს.**

მამუკა ხაზარაძე ოპოზიციას თბილისში საერთო კანდიდატისა და სიის გარშემო გაერთიანებისკენ მოუწოდებს და ადგილობრივ არჩევნებს „რუსული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებად“ აფასებს.

**„ეს ბრძოლა აუცილებლად უნდა იყოს ზეპარტიული! პარტიები ამ კანდიდატებს გვერდით უნდა დაუდგნენ სრული ინფრასტრუქტურით და რესურსებით. ეს უნდა იქცეს საყოველთაო სამოქალაქო პროტესტად!“** – წერს **ხაზარაძე.**

მისი თქმით, მზადაა ახალი პლატფორმისთვის, საერთო ნომრით, სიითა და კანდიდატით, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა შეარჩიოს.

**„ეს არ არის ბრძოლა საკრებულოს მანდატებისთვის – ეს ბრძოლაა საქართველოს დეოკუპაციისთვის!“,** – წერს ის.

ხაზარაძის განცხადებით, „არალეგიტიმური ხელისუფლების“ წინააღმდეგ ბრძოლა ქვეყნის ყველა კუთხეში უნდა გაგრძელდეს.

**„ვიბრძვით საქართველოს დეოკუპაციისთვის, რაც დედაქალაქის გათავისუფლებით უნდა დაიწყოს და ეს ტალღა მთელ საქართველოს მოიცავს... თუ საჭიროა, არჩევნებიც უნდა ჩავშალოთ!“,** – აცხადებს **ხაზარაძე.**

ხაზარაძის ამ იდეას ოპოზიციაში უარყოფითად უკვე შეხვდნენ. მის ამ განცხადებას ზოგმა ფარსი, ზოგმაც კი აბსურდი უწოდა.

„ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე **იგორ ნარმანია** ხაზარაძის ინიციატივას კრიტიკულად ეხმიანება და მას „ფარსს“ უწოდებს.

**„არ არსებობს კომბინაცია, რომლითაც „ქართულ ოცნებას“ მოუგებ არჩევნებს, სანამ ძალაუფლებაში არიან. მათ აქვთ ცესკო, ძალოვანი სტრუქტურები და ადმინისტრაციული რესურსი. ყველა ბერკეტი გამოიყენეს, რათა 2024-ში შედეგები გადაეკეთებინათ“,** – ამბობს **ნარმანია.**

მისივე შეფასებით, დასავლეთის წნეხიც შესუსტდება, თუ ოპოზიცია მმართველ პარტიასთან „მოლაპარაკებების ილუზიას შექმნის“.

**„უცხოური ზეწოლა შენელდება, თუ დაინახავენ, რომ ივანიშვილის წესებით ვთამაშობთ“,** – აცხადებს პოლიტიკოსი.

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** for.ge-თან ამბობს, რომ რთული წარმოსადგენია, ამჟამინდელმა ოპოზიციამ ერთიანობა შეძლოს. მისი შეფასებით, ოპოზიცია სრულიად განსხვავებული და ეკლექტურია - მათ შორის არც იდეოლოგიური და არც მსოფლმხედველობრივი თანხვედრა არსებობს. პირიქით, როგორც ანალიტიკოსი ამბობს, გაერთიანების პერსპექტივას შიდა დაპირისპირება და ურთიერთზიზღი სრულად გამორიცხავს.

**„როგორ უნდა მოხდეს ამ ოპოზიციის გაერთიანება, როცა საქმე გვაქვს ღირებულობრივად სრულიად განსხვავებულ პოლიტიკური ჯგუფებთან? მათ ერთ პლატფორმაზე შეკრებაზე საუბარი მართლაც აბსურდია. შეიძლება ვინმემ მაგალითად მოიყვანოს 2012 წელი და ბიძინა ივანიშვილის მიერ განსხვავებული იდეოლოგიის მქონე პარტიების გაერთიანება, მაგრამ მაშინ სულ სხვა იყო როგორც საზოგადოების, ისე რეჟიმის (სააკაშვილის) მიმართ დამოკიდებულება. თანაც, მაშინ ოპოზიცია ერთი ლიდერის, ივანიშვილის გარშემო შეიკრიბა. ხაზარაძეს კი მსგავსი ავტორიტეტი არ გააჩნია და მის მიერ შეთავაზებული პლატფორმა ნეიტრალური კი არა, ანტიქართულია. ამ ჯგუფებს ხალხში არანაირი მხარდაჭერა არ აქვთ და არც თავად წარმოადგენენ რეალურ პრობლემებზე ორიენტირებულ პოლიტიკურ ძალას. მათი მთავარი ღირებულება მხოლოდ უცხო ძალების მიმართ მორჩილებაა. თავად ხაზარაძეც ცდილობს, დასავლეთის თვალში ლიდერის იმიჯი მოირგოს და ოპოზიციურ ველზე პირველი ფიგურის სტატუსი მოიპოვოს. მისი ეს მცდელობები აშკარად პირადი ინტერესებითაა განპირობებული და არა ქვეყნის ან საზოგადოების საჭიროებებით“,** – აცხადებს **ზარდიაშვილი.**

მისი თქმით, ოპოზიციის ერთადერთი საერთო მიზანი დესტრუქციაა, რაც დესტაბილიზაციის ხელშეწყობაზეა ორიენტირებული და არა პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნაზე.

**„ცხადია, ხაზარაძეს სურს, ოპოზიციამ რაც შეიძლება მეტი ხმა დააგროვოს დიდ ქალაქებში. ეს არის ტაქტიკური გეგმა, რათა ერთიანი კანდიდატი წარადგინონ. თუმცა, ბოლო არჩევნების შედეგები აჩვენებს, რომ ჯამური რეიტინგით ოპოზიცია „ქართულ ოცნებას“ ჩამორჩება. მით უფრო ახლა, როცა რეიტინგი კიდევ უფრო შემცირებული აქვთ რადიკალური ტონითა და არასწორი მანევრებით. გაუგებარია, რა გათვლით ფიქრობენ, რომ ხელისუფლებას დაამარცხებენ. ოპოზიციას თითქოს მრავალფეროვანი ტაქტიკა აქვს, მაგრამ მათი სტრატეგია ერთია – ქვეყანაში არეულობა და მუდმივი რყევები.**

**ნაწილი პირდაპირ დესტრუქციაზე მუშაობს – მათ შორის არჩევნების ჩაშლასა და ფიზიკურ დაპირისპირებაზეც. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობენ „ნაციონალური მოძრაობის“ წიაღიდან გამოსული ჯგუფები. მეორე ნაწილი კი თითქოს არჩევნებზე კონსოლიდაციას ცდილობს, მაგრამ საბოლოოდ, არჩევნების წაგების შემდეგ ერთი იტყვის, რომ გაყალბდა, მეორე კი ხელისუფლებას არალეგიტიმურად გამოაცხადებს. ეს არის მათი რეალური გათვლა, რაც საბოლოოდ განხორციელებადიც არ არის“,** – დასძენს **ზარდიაშვილი.**

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** კი აღნიშნავს, რომ ოპოზიციის დიდი ნაწილის მხრიდან ხაზარაძისთვის უარის თქმა უკვე სიგნალია, რომ მისი ინიციატივა რეალობას მოკლებულია. საყვარელიძე for.ge-სთან საუბარში ხაზს უსვამს, რომ ხაზარაძის მიზანი აშკარაა – მას სურს, რამდენიმე მიმართულებით მიმდინარე პროცესებში თავისი პოზიცია გაიმყაროს, თუმცა ეს უფრო პირად მიზნებზეა მორგებული, ვიდრე საერთო სტრატეგიაზე.

**„ხაზარაძეც კარგად აცნობიერებს, რომ ეს იდეა ოპოზიციისთვის მიუღებელია. ამის მიზეზი ბევრია – ოპოზიცია ვერ ახერხებს გაერთიანებას: ერთი ნაწილი ამბობს, რომ „ოცნება“ არალეგიტიმურია და არჩევნებში მონაწილეობაზე უარს ამბობს, ხოლო ვინც მაინც მონაწილეობს, ის სხვა ოპოზიციური ჯგუფებისგან კრიტიკას იღებს.**

**ამიტომ ხაზარაძე ცდილობს, ოპოზიციური ლიდერების დეფიციტის პირობებში, თავისი თავი წამოსწიოს წინა პლანზე. ერთი მხრივ, სურს, დასავლეთს აჩვენოს, რომ ლიდერია და მხარდაჭერის ღირსია; მეორე მხრივ კი, ცდილობს, ოპოზიციურ ამომრჩეველთან თავი მთავარ ფიგურად წარმოაჩინოს. ფაქტია, დასავლეთის მხრიდან სალომე ზურაბიშვილზე გაკეთებულმა ფსონმა ვერ გაამართლა. არც ოპოზიცია აღიარებს მას ლიდერად და არც ხალხი. თუმცა არც ხაზარაძის პერსპექტივაა უკეთესი“,** – ამბობს **საყვარელიძე.**

მისივე შეფასებით, ხაზარაძეს მძიმე და უარყოფითი რეპუტაცია აქვს ქართულ საზოგადოებაში, რაც მისი პოლიტიკური მომავლისთვის სერიოზული ბარიერია.

**„ხაზარაძის პოლიტიკური კაპიტალი ფულის გარდა სხვა არაფერია. ამიტომ ცდილობს, როგორც „ტვ პირველის“, ასევე „ფორმულას“ მეშვეობით, თავისი პოზიციები გაიმყაროს ოპოზიციურ ამომრჩეველში. წარსულში ცდილობდა ამ უარყოფითი იმიჯის გადაფარვას ქველმოქმედებით, თუმცა მას შემდეგ, რაც პოლიტიკაში გადმოვიდა, ეს მიმართულება დაივიწყა. მაგრამ ჩვენს საზოგადოებას არაფერი ავიწყდება.**

**ამიტომ ხაზარაძის პოლიტიკური კაპიტალი არ არსებობს, თუმცა თვითონ სხვაგვარად ფიქრობს. ამის გამო „ნაციონალურმა მოძრაობამაც“ იგრძნო შიში, რომ ხაზარაძეს შესაძლოა ოპოზიციურ ველზე პირველობა სურს. ფიქრობს, ფულიც აქვს, ნაცების ვარდნის ფონზე რესურსიც და, შესაძლოა, მათი ამომრჩეველიც გადაიბიროს. ამიტომ ცდილობს თავისი გზით იაროს, რაც გასაკვირი არცაა. თუმცა ოპოზიციის გაერთიანება ამ ან სხვა ფორმულით, სრულიად გამორიცხულია“,** – ამბობს **საყვარელიძე.**

**„ხაზარაძის პოლიტიკური კაპიტალი ფულის გარდა სხვა არაფერია. ამიტომ ცდილობს, როგორც „ტვ პირველის“, ასევე „ფორმულას“ მეშვეობით, თავისი პოზიციები გაიმყაროს ოპოზიციურ ამომრჩეველში. წარსულში ცდილობდა ამ უარყოფითი იმიჯის გადაფარვას ქველმოქმედებით, თუმცა მას შემდეგ, რაც პოლიტიკაში გადმოვიდა, ეს მიმართულება დაივიწყა. მაგრამ ჩვენს საზოგადოებას არაფერი ავიწყდება“.**

მოამზადა
**ლიკა ბერიკაშვილმა**

---

**ბისთვის უკანონო დახმარების გაწევის სანაცვლოდ კი ის მათგან ენერგოკომპანიებში (ჰესებში) საწარმოს წილებს იღებდა, რომელთა რეალური მესაკუთრე თვითონ იყო, ხოლო წილები ოფიციალურად თავისი ნდობით აღჭურვილ პირებზე ჰქონდა გაფორმებული. აღნიშნული უკანონო საქმიანობის შედეგად რ. მ.-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავალი მიიღო.**

**ამასთანავე, რ. მ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მაღალ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, სამსახურებრივ უფლებამოსილებას სისტემატურად ბოროტად იყენებდა, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია; კერძოდ, პირადი სარგებლის მიღების მიზნით იგი უკანონოდ სარგებლობდა თავისი თანამდებობით ან/და მასთან დაკავშირებული შესაძლებლობით და სხვადასხვა პირს სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციაში აფორმებდა (ის ამას ზოგჯერ ფიქტიურადაც ახორციელებდა), რის შედეგადაც იგი მატერიალურ სარგებელსა და ქონებრივ სიკეთეს იღებდა.**

**ზემოაღნიშნული უკანონო საქმიანობის შედეგად რ. მ.-ს ოჯახის ქონებრივი მდგომარეობა შესაბამის თანამდებობებზე მისი განწესების შემდეგ მილიონობით ლარით გაიზარდა. არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ იგი დიდი ოდენობით უკანონო, არადეკლარირებულ შემოსავალს იღებდა, რომელიც ოფიციალურ დოკუმენტებში, მათ შორის, ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებში, არ ასახულა. უკანონო ან დაუსაბუთებელი შემოსავლების წარმოშობის დაფარვის მიზნით რ. მ. მათი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მათზე საკუთრების უფლებისა და მათთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვასა და შენიღბვას ახორციელებდა ქონების სხვა, ცრუმაგიერ პირებზე გაფორმების, ნაღდი ფულის თავისი და მისი ოჯახის წევრის საბანკო ანგარიშებზე სხვადასხვა ფიზიკური პირის მეშვეობით შეტანის/ჩარიცხვის, უძრავი ქონების ფიქტიური შეძენის ან რეალიზაციის ამსახველი ხელშეკრულებების გაფორმების, ხელშეკრულებებში ქონების ღირებულების ხელოვნურად გაზრდის ან შემცირებისა და სხვადასხვა ფინანსური ტრანზაქციის შესრულების გზით. მაგალითად, გამოვლენილია ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში მდებარე საცხოვრებელი ბინის ზემოაღნიშნული უკანონო და დაუსაბუთებელი შემოსავლით 600 000 ევროდ შეძენის ფაქტი. ამ თანხის უკანონო და დაუსაბუთებელი წარმომავლობის დამალვისა და შენიღბვის მიზნით რ. მ.-მ თავისი ოჯახის წევრის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე 600 000 ევროს ღირებულების ნასყიდობის ფიქტიური ხელშეკრულება გააფორმა, რითაც აღნიშნული თანხისთვის კანონიერი სახის მიცემა სცადა. ამასთანავე, მან, მის მიერ მიღებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების წარმოშობის წყაროს დამალვისა და შენიღბვის მიზნით, მილიონ ლარამდე ღირებულების მქონე 2 ერთეული ავტომობილი მისი და თავისი ოჯახის წევრის ნდობით აღჭურვილ პირებზე გააფორმა.**

**გამოძიების ამ ეტაპზე როგორც ვლინდება, რ. მ.-მ ზემოხსენებული მეთოდებითა და მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი პირების დახმარებით განახორციელა რამდენიმე მილიონი ლარის უკანონო/დაუსაბუთებელი შემოსავლის ლეგალიზაცია. გამოძიება გრძელდება.**

**ერთობ საინტერესოა, რამდენი რომეო მიქაუტაძისნაირი ნაძირალა, მექრთამე და ბიუჯეტის ვირთხა ჩინოვნიკია დღევანდელ სამთავრობო სტრუქტურებში?!**

საქართველოს რესპუბლიკა — არ დაიჯეროთ, სიცრუეა! — №88-89. ორშაბათი, 23 ივნისი, 2025 წელი



# რას ედავება ხელისუფლება სამ ტელევიზიას?




# საქართველოში დღეს სიტყვის თავისუფლება კი არა, სიტყვიერი განუკითხაობაა

**თავისუფალი სიტყვის შეზღუდვა თუ დეზინფორმაციის და ტყუილის ტირაჟირების მხილება? — კომუნიკაციების კომისიამ 19 ივნისის სხდომაზე განიხილა პარტია „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი საჩივრები ტელეკომპანიების — „ტვ პირველის“, „ფორმულას“ და „მთავარი არხის“ წინააღმდეგ. საჩივრები ეხება მედიაში კანონის შესაძლო დარღვევებს.**

**კომისიის ცნობით, „ტვ პირველთან“ დაკავშირებით განხილული იყო საინფორმაციო გამოშვების 14 ფრაგმენტი და ორი Facebook ქარდი, რომლებიც იმ პერიოდს შეეხება, როცა კანონმდებლობა ჯერ არ იყო ძალაში შესული.**

„მთავარი არხის“ წინააღმდეგ მიმართული საჩივრის განხილვა კომისიამ გადადო, რადგან სხდომას არხის წარმომადგენელი არ დაესწრო. ეს საკითხი ასევე 3 ივლისს განიხილება.

**კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება „ტვ პირველის“, „ფორმულას“ და „მთავარი არხის“ საქმეებზე 3 ივლისს, 15:00 საათზე, დაგეგმილ სხდომაზე გახდება ცნობილი.**

**„ტვ პირველის“ შემთხვევაში, პრემიერ ირაკლი კობახიძეს საინფორმაციო გამოშვების 14 ჩანაწერი და 5 ქარდი აქვს გასაჩივრებული. კონკრეტულად, „ქართული ოცნება“ მედიას შემდეგი ტერმინების გამოყენებას ედავება – „ოლიგარქი“; „არალეგიტიმური ხელისუფლება“; „ოლიგარქის რეჟიმი“; „კლანის მსახური მოსამართლე“ და ა.შ.**

მედია-პოლიტიკის ექსპერტი **გიორგი ახვლედიანი** for.ge-თან თვლის, რომ დღევანდელ საქართველოში მედიის თავისუფლება უპრეცედენტოა. მისი შეფასებით, წარსულში ჟურნალისტებისთვის სიტყვის გამოხატვა უამრავი ბიუროკრატიული და პოლიტიკური ბარიერის გადალახვას უკავშირდებოდა, მაშინ, როცა დღეს მედიის დაფუძნება თავისუფლად და შეუზღუდავად არის შესაძლებელი. ექსპერტი მკაცრად აკრიტიკებს ოპოზიციურად განწყობილ ტელეკომპანიებს და მათ „პარტიულ პრესცენტრებს“ უწოდებს, რომელთაც, მისი აზრით, ჟურნალისტური სტანდარტები შერჩევითად ესმით და ხშირად ტყუილის ტირაჟირებით საზოგადოებას სიცრუეში ამყოფებენ.

ხელისუფლების წარმომადგენლები განმარტავენ, რომ კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებებს არ აქვს პოლიტიკური კონტექსტი და ისინი კანონით დადგენილი პროცედურების ფარგლებში მიმდინარეობს.

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ **ნიკოლოზ სამხარაძემ** აღნიშნა, რომ რეგულაციები ერთნაირად ეხება ყველას.

**„საუბარია კონკრეტულ მედიაპროდუქტზე, რომელიც შეესაბამება თუ არა ახალ საკანონმდებლო ნორმებს. კანონი ყველასთვის ერთია – როგორც სარედაქციო პოლიტიკის, ისე გავრცელებული შინაარსის მიხედვით“**, – ამბობს **სამხარაძე.**

„ხალხის ძალის“ წევრი და დეპუტატის **გურამ მაჭარაშვილის** თქმით, სიტყვის თავისუფლება დაცულია, თუმცა თავისუფლებას უნდა ახლდეს პასუხისმგებლობაც.

**„არავინ აპირებს სიტყვის შეზღუდვას, მაგრამ საზოგადოებას აქვს უფლება, არ მოხვდეს მიზანმიმართული მანიპულაციის ან დეზინფორმაციის ზემოქმედების ქვეშ. კანონის ფარგლებში მოქმედება მოეთხოვება ყველა სუბიექტს“**, – ამბობს **მაჭარაშვილი.**

კომუნიკაციების კომისიის ხელმძღვანელობაც აცხადებს, რომ ტელეკომპანიების საკითხებზე გადაწყვეტილება მიღებული იქნება არსებული მტკიცებულებების და სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, პროცესში პოლიტიკური ჩარევის გარეშე.

**გიორგი ახვლედიანმა** for.ge-თან აღნიშნა, უკვე 30 წელია მედიის სფეროშია და ყველა ეტაპი გავლილი აქვს, თუმცა მსგავსი თავისუფლება აქამდე არცერთ მედიაში არ ყოფილა.

**„არც ერთ ხელისუფლებაში არ ყოფილა ისეთი თავისუფალი და ხელმისაწვდომი მედიაგარემო, როგორიც დღესაა. დღეს შესაძლებელია ტელევიზიისა და საინფორმაციო სააგენტოს ერთ დღეში დაფუძნება. საკმარისია სურვილი და შესაძლებლობა და რამდენიც გინდა, იმდენს შექმნი“**, – ამბობს ექსპერტი.

მისივე თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს მსგავსი გარემოს არსებობა წარმოუდგენელი იყო.

**„დავუბრუნდეთ სულ ახლო წარსულს – ნაციონალების დროს ტელევიზიების გახსნა ურთულესი იყო – ლიცენზიის მიღება მაუწყებლობისთვის, პრაქტიკულად, შეუძლებელი გახლდათ. ნებართვისა და სიხშირის მისაღებად საერთაშორისო დონეზე ჩარევა იყო საჭირო – ევროკავშირის ან ამერიკის ჩართულობის გარეშე არაფერი არ კეთდებოდა. მაშინაც კი, როცა განსხვავებული აზრის გაჟღერება სურდათ, ეს თითქმის მიუღწეველი იყო“**, – ამბობს ექსპერტი.

ახვლედიანის თქმით, დღეს ვითარება რადიკალურად განსხვავებულია – ქვეყანაში სიტყვის თავსიუფლება კი არა სიტყვის განუკითხაობა გვაქვს.

**„წარმოიდგინეთ, დილით რომ განაცხადოთ ტელევიზიის გახსნაზე, საღამოს უკვე ლიცენზია შეიძლება გქონდეთ. საქართველოში დღეს არამხოლოდ სიტყვის თავისუფლება გვაქვს, არამედ სიტყვიერი განუკითხაობაც. უამრავი ტელეკომპანია გაჩნდა, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ნაცოპოზიციის პრესცენტრები. ისინი ტელეკომპანიები კი არა, პარტიული ცენტრები არიან, რომლებიც სიტყვის თავისუფლებას ცილისწამების და სიცრუის გავრცელების უფლებად აღიქვამენ. ხანდახან ფაქტების გამოგონებამდეც კი მიდიან და მთელი სიუჟეტები ტყუილებზე აქვთ აგებული“**, – მიიჩნევს **ახვლედიანი.**

**მსგავსი ტელეკომპანიები, პრაქტიკულად, ყველა ჟურნალისტურ სტანდარტს და ეთიკას არღვევს.**

**„მთელ მსოფლიოში არსებობს ოქროს წესი – ფაქტი წმინდაა და მისი გაყალბება დაუშვებელია. ეს ადამიანები კი, რომლებიც თავს ჟურნალისტებად აცხადებენ, არ იცავენ ჟურნალისტიკის არც ერთ სტანდარტს. იგონებენ ფაქტებს და ცდილობენ ისინი რეალურად წარმოაჩინონ. ეს არ არის ჟურნალისტიკა, ეს არის სიცრუის მანქანა და მიზანმიმართული პროპაგანდა. ამას ემატება ცილისწამების კამპანია. დღეს ასეთი ტელეკომპანიები პარტიული პრესცენტრები არიან, რომლებიც მთლიანად ემსახურებიან თავიანთი ლიდერების დღის წესრიგს. მათ არ აქვთ სარედაქციო პოლიტიკა, რომელიც მოსახლეობის საჭიროებებს და პრობლემებს ასახავს. ისინი ავრცელებენ სიცრუეს, რომელიც მორგებულია მფლობელთა ინტერესებზე“**, – ამბობს ექსპერტი.

გიორგი ახვლედიანის შეფასებით, მსგავსი ტელევიზიები დღეს იმდენად დიდ საინფორმაციო ზეწოლას ახდენენ მოსახლეობაზე, რომ თავად აუდიტორიას უკვე მათი ყურება და მოსმენა მობეზრდა.

**„ამიტომაც არავის სჯერა მათი ერთი სიტყვისაც კი. ამის შედეგია, რომ დღეს ყველაზე დიდი რეიტინგი ტელეკომპანია „იმედს“ აქვს, ხოლო დეზინფორმაციის გამავრცელებელ ტელევიზიებს ან ხურავენ, ან კადრებს ამცირებენ. ტელეკომპანიები, რომლებიც იყენებენ ტერმინებს – „არალეგიტიმური ხელისუფლება“, „ოლიგარქიული რეჟიმი“, „ოცნების კლანი“ და ასე შემდეგ – საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირებას ცდილობენ“**, – ამბობს ექსპერტი.

ახვლედიანი მიიჩნევს, რომ 2024 წლის არჩევნებში ხელისუფლებამ გამარჯვება მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერით მოიპოვა და არავინ აღარ დაობს მათ ლეგიტიმურობაზე.

**დასავლეთშიც არავინ ამბობს, რომ ეს ხელისუფლება არალეგიტიმურია. შესაბამისად, ასეთი ტერმინების გამოყენება უდიდესი უპასუხისმგებლობაა და საზოგადოების აზრის მანიპულაცია. მედიამ არ უნდა გაავრცელოს სიცრუე. საზოგადოების უმრავლესობამ არჩევანი უკვე არაერთხელ გამოხატა, რომ არ სურს „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში. კვლავ „ოცნებას“ უჭერენ მხარს. ამიტომ ასეთი პროპაგანდა, თითქოს ხელისუფლება არალეგიტიმურია, უნდა დასრულდეს!..**

**ლიკა ბერიკაშვილი**

**დასავლეთშიც არავინ ამბობს, რომ ეს ხელისუფლება არალეგიტიმურია. შესაბამისად, ასეთი ტერმინების გამოყენება უდიდესი უპასუხისმგებლობაა და საზოგადოების აზრის მანიპულაცია. მედიამ არ უნდა გაავრცელოს სიცრუე. საზოგადოების უმრავლესობამ არჩევანი უკვე არაერთხელ გამოხატა, რომ არ სურს „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში. კვლავ „ოცნებას“ უჭერენ მხარს. ამიტომ ასეთი პროპაგანდა, თითქოს ხელისუფლება არალეგიტიმურია, უნდა დასრულდეს!..**



## ემზარ კვიტაიშვილი

# თავაშვებული ბოროტების ასალაგმავად

### (სისაძაგლეთა ქრონიკა)

### ნაცმოძრაობის „ლიდერები“

ეს „აქციები“ მღვრიე წყალში
ჩადგმული თქვენი ფაცერია;
„ჩანაწერები“ ვის რად უნდა,
სიბილწე შუბლზე გაწერიათ.

### გასაპუტავი „დეპუტატები“
(ყველაზე ცოტა)

ვინ ოხერმა მოაქუჩა,
აქ, ამდენი რადიკალი?!
ბაწრით გასაკოჭავია
მაჯლაჯუნა ათი ქალი.

### თავდამსხმელი მამლაყინწა

ქუჩაა შენი არენა,
ჭიჭყინავ, ჭუჭყო და ლექო,
შენ იცი, ხმალი ალესე,
ელისაშვილო ალეკო!

### გაპანღურების ღირსნი
(ძურძგლიანეზი პარვეზს შლიან)

„პროტესტისათვის“ იყენებთ ეკრანს,
პარლამენტზედაც არ ხართ ყაბული;
თქვენა ხართ ნაყარ-ნუყართა
შეკვრა,
გეკუთვნით ბნელი გამოქვაბული!

### უპრაგონოდ მოყაყანენი

„გაყალბებაზე“ ლაყბობენ,
თავით ფეხამდე ყალბები,
ნაცების ბანდავ, ამაზე
მეტად როგორღა დალპებით,
გეკუთვნით, სქელ დუნდულებში,
დროდადრო, დაგცხონ ზალპები!

### ინგა გრიგოლიას „საბრძანებელი“

რას გვანან, მათი ხსენებაც არ ღირს,
თავში სულ ბოროტება მოუდით;
„პირველი“ ანუ მთავარი არხი,
ყარს, ერთიანად, „ვანოს შოუ“-თი!

### ყელმოღერებული ქერა ალქაჯი
(„ხაზეს“ შემცვლელი)

დამთავრდება, სულ მალე,
ქალბატონი ძუკნა,
შენი და შენნაირთა,
პარლამენტში ბუქნა,
გაისადაც გიყუროთ,
მამაღმერთმა ნუ ქნას!
საჯაშუშო შიშხათით,
ყველანი ხართ მსუქნად.

### დაგეხანხალა

ესა ხარ, ნაცმოძრაობავ,
თავი თვით გაიქიაქე,
ხვანცალობ – ამოტრიალდე,
შაშად გადიქცე იაქე,
ღმერთო, ჩვენს ჭირად გაჩენილთ,
რაც ეკუთვნოდეთ, მიაგე!

### ვამპირები

ემუქრება საქართველოს
უზნელესი ძალა;
მტერსა და ავს, მათი ბრდღვინვა
თუ არ აიკრძალა.

აშკარაა, ასე რომელ
„ევროპაშიც“ შეხვალ;
დაუგეგმავთ, შიგ უფსკრულში
ჩვენი გადაჩეხვა.

თქმა არ უნდა, დაგვიდგება
ხვედრი უარესი –
სისხლისმსმელებს თუ ახლავე
არ ავუგეთ წესი!

### ჩვენს დასალუპავად დარაზმულები
(შახინ-კუზილიუსთა ალიანსი)

ამ ცოფიან ქოფაკთა
ხროვა ვინ მოუქსია?!
საქართველო არვისი
საჯიჯგნ-დასატუქსია.

გვემუქრება ასობით
„ენჯეო“ და ატაშე;
ლობისტ უნამუსოთა,
ბოლო არ აქვს შანტაჟებს.

### გასათხლეში

თავად ვერ გაურკვევია,
რაებს ჩმახავს და როშავს;
შემოგდებული სალომე,
ნაცების გახდა დროშა!

### ერთობ მომრავლდნენ

სამწუხაროდ, ძნელი გახლავთ –
შველა გონით უძლურთა;
საბრალოა ყველა, ვისაც
კრამიტი დაუცურდა.

### დაბადებითვე დემაგოგი

თვალთმაქცობ – საქართველოში,
ცოდვის,
კვლავ დატრიალდეს კალო,
რა არ გასვენებს, ზაუტაშვილის
თმაშეღებილო ქალო!
რას აგვიკელი, ვინ გაგაჩინა,
ჩვენდა სადარდუბალოდ?

### ველოდებით „ქართულ ნიურნბერგს“
(საჭმელში ჩამფურთხებელთა ერთიანი ხროვა)

ჩვენმა თეამ მართლაც უნდა
დაამთავროს ნაცობია;
საქართველოს ნათელ გზაზე,
იგი ნეხვის საცობია.

თავნაცები, საბრალდებო
სკამზე, მანვე დაასკუპოს;
ერთიანად გააყოლოს
მათგან გამოტანილ კუბოს!

(გაგრძელება იქნება)

# გელათის რეაბილიტაციის უნიკალური მოდელი სხვა ტაძრებზეც დაინერგება!



## გელათის რეაბილიტაციის დროებითმა კომიტეტმა თბილისში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე 2023-2025 წლების საქმიანობის ანგარიში წარადგინა

**ორწლიანი ანგარიში მოიცავს გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის განახლებული მართვის გეგმის პროექტს, გელათის ღმრთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის დროებითი გადახურვისა და ხარაჩოს მოწყობის საკითხებს და კათედრალის სტრუქტურულ კვლევას და მონიტორინგს, გელათის მონასტრის ტერიტორიის გეოლოგიის, სამონასტრო კომპლექსის არქიტექტურის კონსერვაციის, გელათის ღმრთისმშობლის ტაძრის შობის სახელობის ტაძრის კედლის მხატვრობის და მოზაიკის საკითხებს, გელათის მონასტრის გენერალურ გეგმას.**

კონფერენცია გახსნეს და დამსწრეებს სიტყვით მიმართეს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა, გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარემ, მეუფე შიომ (მუჯირი), საქართველოს კულტურის მინისტრმა თინათინ რუხაძემ, ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა, ეროვნული სამეცნიერო საბჭოს მდივანმა დავით ლორთქიფანიძემ, საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს მდივანმა გერჰარდ ვოლფმა და კომიტეტის ეროვნული სამეცნიერო და საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს სხვა წარმომადგენლებმა.

**თინათინ რუხაძემ** განაცხადა, რომ გელათის რეაბილიტაციის დროებითმა კომიტეტმა მეუფე შიოს ხელმძღვანელობით, მამა კირიონის, დავით ლორთქიფანიძის და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების ჩართულობით, ფასდაუდებელი სამუშაო ჩაატარა.

კულტურის მინისტრმა მადლობა გადაუხადა პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძეს, საქართველოს მთავრობას, საპატრიარქოს და პირადად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ასევე, გელათის რეაბილიტაციის პროცესში ჩართულ მხარეებს.

**„იუნესკოს ვებგვერდზე უკვე გამოქვეყნდა მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის გადაწყვეტილების პროექტი, რაც ივლისში იქნება განხილული. დოკუმენტში, გელათის მონასტრის კონსერვაციის მდგომარეობის შესახებ, აღნიშნულია საქართველოს მთავრობის ძალისხმევა ძეგლის კონსერვაცია-რეაბილიტაციის სამუშაოების მიმართულებით სრულად იხელმძღვანელოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის საკონსულტაციო მისიის რეკომენდაციებით. მინდა, ამისთვის განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო საქართველოს საპატრიარქოს, როგორც ძეგლის მეპატრონეს.**

**სირთულე ბევრი იყო. ახლა ვხედავთ, რომ მხარეთა კარგი თანამშრომლობა ქმნის სრულიად ახალ გამოცდილებას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით. ჩვენი საქმიანობა დიდწილად ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე მოდის. ეს არის ჩვენი იდენტობის, კულტურის განმსაზღვრელი. ჩემთვის, როგორც კულტურის მინისტრისთვის, მნიშვნელოვანია, რომ გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის მოდელი დავნერგოთ სხვა ძეგლებთან მიმართებაშიც.**

**ვიმედოვნებ, რომ ერთად ვნახავთ აღდგენილ გელათს. ეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით ახალი სიტყვა იქნება და მსოფლიოს უნდა ვუთხრათ – ჩვენ უდიდესი მემკვიდრეობით მოვდივართ, ქრისტიანობაზე დაფუძნებული უძველესი ევროპული კულტურა ვართ“**, – განაცხადა **თინათინ რუხაძემ.**





ალეკო ასლანიშვილი

# მეგრელთა საქმე

## ქვიშის თოკი

*1953 წლის 25 თებერვალი:*

*„მ. ბარამია — ჩემ მიერ შექმნილმა ანტიპარტიულმა მეგრელ ნაციონალისტთა ჯგუფმა, რომელიც არსებითად გადაიქცა ნაციონალისტურ ფრაქციად, რაღაც მეორე პარტიად საქართველოს კომპარტიის შიგნით, დიდი ზიანი მიაყენა ქართველი ხალხის ინტერესებს.*

*მეგრელი ანტიპარტიული ნაციონალისტური ელემენტები, რომლებსაც მე ვხელმძღვანელობდი, ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდნენ საქართველოს კომპარტიის შიგნით, არღვევდნენ მის ერთიანობას, რყვნიდნენ პარტიულ და საბჭოთა კადრებს, ძირს უთხრიდნენ ხალხის ნდობას პარტიისადმი იმით, რომ ფეხქვეშ თელავდნენ საბჭოთა კანონებს, ზიანი და ვნება მოჰქონდათ ყველგან: სახალხო მეურნეობაში, იდეოლოგიურ ფრონტზე, კომკავშირში. დაბოლოს, ყველაზე მძიმე დანაშაული, რომელიც მე უკვე ვაღიარე: ჩვენ ვისწრაფვოდით, ხელში ჩაგვეგდო ძალაუფლება და მთელი ჩვენი მტრული საქმიანობით საქმე მიგვყავდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციისაკენ. უდავოა, რომ ჩვენი ასეთი დანაშაულებრივი საქმიანობა სხვა არაფერი იყო, თუ არა მოქმედება, რომელიც ემსახურებოდა საზღვარგარეთელი იმპერიალისტების ინტერესებს და, უწინარეს ყოვლისა, ამერიკელი იმპერილისტების ინტერესებს.*

*კითხვა: და მაინც, ნუ გგონიათ, რომ ყველაფერი გვითხარით. არსებობს უცილობელი დამამტკიცებელი საბუთები (? — ა. ა.), რომ თქვენი ჯგუფი დაკავშირებული იყო გეგეჭკორის დაზვერვასთან.*

*მ. ბარამია — არ უარვყოფ, გამოძიებას აქვს საკმარისი საფუძველი, მიიჩნიოს, რომ მე და ჩემს თანამზრახველებს მეგრულ-ნაციონალისტურ საქმიანობაში გვქონდა ურთიერთობა ქართულ ემიგრანტულ წრეებთან საზღვარგარეთ. კერძოდ, მათ თავკაცებთან — ჟორდანიასა და გეგეჭკორთან. ეს ეჭვები მით უფრო საფუძვლიანია, რომ ჩვენ და ისინი არსებითად ვაკეთებდით ერთ საერთო საქმეს — ძირს ვუთხრიდით საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში.*

*კითხვა — რამდენადაც თქვენ ამას აღიარებთ, ბარემ ბოლომდე თქვით სიმართლე, ვისი მეშვეობით და როგორ ხორციელდებოდა საზღვარგარეთთან კავშირი?*

*მ. ბარამია — საქმეც ის გახლავთ, რომ ამ საკითხზე მე სათქმელი არაფერი მაქვს. ისევე როგორც აქამდე, ახლაც მტკიცედ ვაცხადებ, რომ პირადად მე არავითარი კავშირი არ მქონია არც ჟორდანიასთან, არც სხვა არავისთან საზღვარგარეთ მყოფ ქართველ ემიგრანტთა რიცხვიდან. ჩემი ტრაგედია ის არის, რომ შესაძლებლად მიმაჩნია ამგვარი კავშირის არსებობა ჩემს თანამზრახველთაგან ზოგიერთის მეშვეობით, მაგრამ ვერავის დავასახელებ — მათგან არავის უთქვამს ჩემთვის რაიმე. გთხოვთ, დამიჯეროთ, რომ როდესაც განზრახული მქონდა ძალაუფლება საქართველოში მეგრელ ნაციონალისტებთან ერთად მომეპოვებინა, მე მაინც ისე არ დავცემულვარ, რომ პირი შემეკრა ჟორდანიასთან და გეგეჭკორთან ან მათს ბატონ-პატრონებთან — ამერიკელ იმპერიალისტებთან... ამრიგად, ძალაუფლების ხელში აღების რეალური წანამძღვრები ჩვენ უკვე გვქონდა. დაუფარავად რომ ვილაპარაკოთ, საქართველოს კომპარტიის და რესპუბლიკის სამთავრობო ორგანოებში ნაციონალისტთა მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება, ფაქტობრივად, მოასწავებდა ნაბიჯს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციის გზაზე. მაგრამ ამასთან, ვიმეორებ, რომ მე არ მივეცი თავს უფლება, დამემყარებინა კონტაქტი საზღვარგარეთის წრეებთან.*

*კითხვა — არა ხართ მართალი. გამოძიების განკარგულებაში არის ცნობები, რომ პარიზის ქართული ემიგრაციის ხელმძღვანელი ბირთვისათვის ცნობილი იყო „ოპოზიციის“ არსებობა საქართველოს კომპარტიაში. უეჭველია, რომ ლაპარაკი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ თქვენს მტრულ ჯგუფზე. ასე არ არის?*

*მ. ბარამია — ალბათ, ასეა, მაგრამ პირადად მე არ ვიცი, როგორ შეიძლებოდა საზღვარგარეთ გაეგონა ცნობები ჩვენი მეგრულ-ნაციონალისტური ჯგუფის არსებობის შესახებ.*

*კითხვა — უფრო მეტიც, საქართველოში შემოგზავნილ მენშევიკთა დესპანებს მითითება ჰქონდათ, კონტაქტი დაემყარებინათ ე. წ. ოპოზიციასთან. თუ თქვენ გგონიათ, რომ ოპოზიციად „ალბათ“ თქვენი ჯგუფი იგულისხმება, მაშინ მის რომელ მონაწილესთან იყო დამყარებული კავშირი?*

*მ. ბარამია — პირადად ჩემთან მენშევიკთა არც ერთი დესპანი არ გამოცხადებულა და მე არც კი შემიძლია ვივარაუდო, ჩემს თანამზრახველთაგან ვისთან შეიძლებოდა ჰქონოდათ მათ კავშირი.*

*კითხვა — თქვენ პროვოკაციულად გიჭირავთ თავი გამოძიებაზე, რასაც ადასტურებს შემდეგი ფაქტები: ა. წ. 13 იანვარს თქვენ აჩვენეთ, რომ თქვენი ჯგუფის კავშირი საზღვარგარეთთან ხორციელდებოდა შარიასა და თავაძის მეშვეობით, მაგრამ არ გითქვამთ, კონკრეტულად როგორ ხორციელდებოდა ეს კავშირი და რა იყო მისი არსი. შემდეგ თქვენ იუარეთ ეს ჩვენებები. როდემდე გინდათ ასე გავაგრძელოთ?*

*მ. ბარამია — ა. წ. 13 იანვრის დაკითხვაზე მე ნამდვილად ვთქვი ჩემს ჩვენებაში, რომ ჩვენი მტრული ჯგუფის კავშირი საზღვარგარეთთან, კერძოდ, გეგეჭკორთან, ხორციელდებოდა შარიასა და თავაძის მეშვეობით. მაგრამ როდესაც ამ ჩვენებებს ვიძლეოდი, მე ვმოქმედებდი ნაჩქარევად, დაუფიქრებლად და ახლა ვერაფრით ვერ დავადასტურებ მათ სისწორეს. აი, რატომ მივიჩნიე საჭიროდ, უარი მეთქვა ამ ჩვენებებზე.*

*კითხვა — უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა, რომ თქვენ კვლავინდებურად განაგრძობთ ორპირობას და ჩქმალავთ ჭეშმარიტ მდგომარეობას.*

*მ. ბარამია — არა, მე ღრმად განვიცდი ჩემს არასწორ საქციელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 11 ნოემბრის პლენუმზე, როდესაც პარტიას დავუმალე ჩემი და ჩემი თანამზრახველების ნაციონალისტური საქმიანობა, ხოლო ჩემმა შემდგომმა დაკავებამ და 14 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში პატიმრობამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ ორპირობას არავითარი აზრი არა აქვს... ჩემს ჩვენებებში სიმართლე ვთქვი მტრული ჯგუფის განზრახვაზეც — ხელში ჩაეგდო ძალაუფლება, რასაც მოჰყვებოდა საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაცია საქართველოში, მაგრამ რაც არ ყოფილა — მე მხედველობაში მაქვს ბრალდება საზღვარგარეთთან კავშირის შესახებ — ამას ვერ დავიბრალებ“.*

აი, ასე: პატიმრები „უმცირეს ბოროტებას“ ირჩევდნენ — ისინი „აღიარებდნენ“ მეგრული ნაციონალისტური ანტიპარტიულ-ანტისაბჭოთა ჯგუფის არსებობას, მაგრამ, არამც და არამც — საზღვარგარეთთან კავშირს. იცოდნენ, სხვაგვარად მას მხოლოდ ერთი განაჩენი მოჰყვებოდა — დახვრეტა.



სტალინის დაკრძალვა, 1953 წლის მარტი

## ხუხულის დანგრევა

**1953 წლის 5 მარტს იოსებ სტალინი გარდაიცვალა. გაურკვეველია, მოასწრო თუ არა მან თბილისელი ყორჩების ბოლო რელაციის წაკითხვა, ბელადის გარდაცვალების უმალ მდგომარეობა შეიცვალა.**

იმავე დღეს,1953 წლის 5 მარტს სასწრაფოდ გაიმართა სკკპ ცკ-ის, სსრკ მინისტრთა საბჭოსა და სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი სხდომა, რომელმაც ხელისუფლება გაანაწილა. ლავრენტი ბერია სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის (გ. მ. მალენკოვის) პირველი მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა. აშკარად გამოიკვეთა მალენკოვ-ბერიას ტანდემის გამარჯვება. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო ხელისუფლების ხელში ჩაგდების გზაზე.

ლ. ბერიამ ენერგიული მოქმედება დაიწყო წინასწარ მოფიქრებული პროგრამის მიხედვით. მისი წინადადებით 1953 წ. 27 მარტს გამოიცა სსრკ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება, რომელიც იმ დროს ციხეებსა და ბანაკებში მყოფი 2526402 პატიმრიდან გათავისუფლდა 1181264 კაცი; დააყენა პოლიტპატიმრების ფართო ამნისტიის წინადადება, მაგრამ ცეკას პრეზიდიუმელი კოლეგები არ დაეთანხმნენ. შექმნა სპეციალური საგამოძიებო კომისია: გადამოწმდა ზოგიერთი ფალსიფიცირებული გახმაურებული საქმე და მრავალი უკანონოდ დაპატიმრებული, დახვრეტის მომლოდინე ტუსაღი განთავისუფლდა, მათ შორის, „მეგრელთა საქმის“ გამო უკვე 15 თვე ციხეში მყოფი 37 კაცი.

ამ კომისიისთვის საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილემ, პოლკოვნიკმა მირიან თავდიშვილმა შეადგინა ცნობა, რომელიც 1953 წლის 27 მარტით არის დათარიღებული. მასში შავით თეთრზე წერია: **„მასალები, რომლებიც საფუძვლად დაედო ბარამიას ჯგუფის წევრთა ბრალდების გამო საგამოძიებო საქმის წარმოქმნას, არ გაგვაჩნია. ვის მიერ და რა ინფორმაცია გაიგზავნა ინსტანციაში ამ საკითხზე, ჩვენთვის უცნობია. მოცემული საქმის წარმოშობის მომენტში და ძიების მსვლელობისას, გამომძიებლები ეყრდნობოდნენ საქ. კპ(ბ) ცკ-ის დახურულ წერილებს და საქ. კპ(ბ) ცკ-ის პლენუმის გადაწყვეტილებებს მ. ი. ბარამიას ჯგუფის თაობაზე, არ გაგვაჩნდა და არ გაგვაჩნია მოქმედი ძიების რაიმე დამუშავება პირველ პერიოდში დაპატიმრებულ პირებზე”.**

ესეც შენი კანონიერება, ესეც შენი საბჭოთა მართლმსაჯულება!

არადა, მ. თავდიშვილი არ ტყუის, იგი უკვე გრძნობს ყელში წაჭერილ ყულფს და ცდილობს, კომისიის წინაშე გამოჩენილი გულახდილობით იხსნას თავი.

საგამოძიებო კომისიის საქმიანობაში ბერიამ ყველაზე ერთგული თანამშრომლები ჩართო, მათ შორის, თავისი მოადგილეები: გენერალ-პოლკოვნიკი ბაღჩო ქობულოვი და გენერალ-ლეიტენანტი ლ. ვლოძიმირსკი (იმავდროულად შსს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფროსი).

1953 წლის 16 მარტს პატიმრები თბილისიდან ეტაპით მოსკოვში, სსრკ სახელმწიფო უშიშროების უწყების შინაგან ციხეში გადაიყვანეს.

1953 წლის 8 აპრილს ლ. ბერიამ გრიფით „სრულიად საიდუმლო” სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმს მოსწერა წერილი “ე. წ. მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის საქმის არასწორი წარმოების შესახებ”.

მასში ნათქვამია, რომ მიმდინარე წლის მარტის დასაწყისში სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროში შევიდა შეტყობინებები, რომ საქმე ე. წ. მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის არსებობის შესახებ შეთითხნილი იყო, დაპატიმრებულთა საქმეზე გამოძიება კი საბჭოთა კანონების უხეში დარღვევით მიმდინარეობდა. ამ შეტყობინებების შესამოწმებლად გამოყოფილმა სპეცია-



ბ. ქობულოვი



ლ.ვლოძიმირსკი

გაგრძელება,
დასაწყისი იხილეთ
„სრ“ №47-48, 50-51, 54-55, 56, 57, 60-68, 71-72, 74-87



გ. მალენკოვი და ლ. ბერია

ლურმა კომისიამ, საგამოძიებო მასალების და დაპატიმრებულთა განცხადებების შემოწმების შედეგად, დაადგინა, რომ ე. წ. მეგრელ ნაციონალისტთა მთელი საქმე წარმოადგენს ყოფილი საქ. სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროდან მისი მფარველების პროვოკაციულ გამონაგონს. 1951 წლის შემოდგომაზე ნ. რუხაძემ, რომელიც დანაშაულებრივ კარიერისტულ მიზნებს ისახავდა, საქართველოში დასასვენებლად მყოფ სტალინს ცრუ ინფორმაცია მიაწოდა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციაში საქმეთა მდგომარეობის შესახებ, პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ნაკლოვანებების არსებობა წარმოადგინა, როგორც მის მიერვე გამოგონილი მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის ძირგამომთხრელი მტრული საქმიანობის შედეგი. ი. სტალინმა აუცილებელი შემოწმების გარეშე ირწმუნა რუხაძის პროვოკაციული ინფორმაციაო.

როგორც ვხედავთ, აქ მთელი ამ საქმის წამოწყება ნ. რუხაძეს ბრალდება და ეს გასაგებიც არის: ლ. ბერია, ჯერჯერობით, საჭიროდ არ მიიჩნევს ეს-ესაა გარდაცვლილი ბელადის ავტორობის წამოწევას მისი ავტორიტეტის დაცვის მიზნით. თუმცა იმას კი არ მალავს, რომ ი. სტალინი სისტემატურად რეკავდა თბილისში უშუალოდ სახელმწიფო უშიშროების მინისტრ ნ. რუხაძესთან და პარტიის ცეკას პირველ მდივან ა. მგელაძესთან, ითხოვდა გამოძიების მიმდინარეობის ანგარიშს, დაკითხვათა ოქმებს, საგამოძიებო ღონისძიებების გააქტიურებას, რომ იგი უკმაყოფილო იყო გამოძიების შედეგებით და საჭიროდ მიიჩნევდა დაპატიმრებულთა მიმართ ფიზიკური ზემოქმედების ხერხების გამოყენებას ჯაშუშურ-ძირგამომთხრელი საქმიანობის აღიარების მიზნით.

აქ მთავარი ის არის, რომ ლ. ბერია ამტკიცებს, საქმე ფალსიფიცირებულია, ყველაფერი მოგონილიაო.

წერილში ლაპარაკია, აგრეთვე, იმაზე, რომ 1951 წლის 16 ნოემბერს სკპ(ბ) ცკ-მა, საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის წინადადების საფუძველზე, ი. ბ. სტალინის პირდაპირი მითითებით, მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიიდან მტრული ელემენტების გასახლების შესახებ”. დადგენილება შესრულდა უხეში თვითნებობით და მოქალაქეთა ელემენტარული უფლებების აღმაშფოთებელი დარღვევით, სრულიად გაუგებარი აჩქარებით, ჰაიჰარად შედგენილი სიებით, რომლებიც არსად არავის შეუმოწმებია. არსებითად არაფრით მოტივირებულმა და ამასთან, დანაშაულებრივი მეთოდებით განხორციელებულმა ამ ღონისძიებამ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებას უდიდესი ზიანი მიაყენა, გამოიწვია არა მარტო უკანონოდ გადასახლებული მოქალაქეების, მათი მეგობრებისა და ნათესავების, არამედ საქართველოს მოსახლეობის ფართო მასების სამართლიანი უკმაყოფილება. საქართველოს მოქალაქეებს, განსაკუთრებით ინტელიგენციას, დღემდე ვერ გაუგიათ ამ თარეშის არსი და მიზანი, მას თემურ-ლენგისა და შაჰ-აბასის შემოსევებს ადარებენო.

ლ. ბერია მოითხოვდა სკპ(ბ) ცკ-ის 1951 წლის 9 ნოემბრისა და 1952 წლის 27 მარტის დადგენილებების შეცვლასა და მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის საქმეზე ყველა დაპატიმრებულის განთავისუფლებას მათი სრული რეაბილიტაციით, აგრეთვე სკპ(ბ) ცკ-ის 1951 წლის 16 ნოემბრის და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 29 ნოემბრის დადგენილებების გაუქმებას საქართველოს სსრ მოქალაქეების გასახლების შესახებ და ყველა გასახლებულის უკან დაბრუნებას.

ლავრენტი ბერიას ამ წერილის საფუძველზე, ზუსტად ორი დღის შემდეგ, 1953 წლის 10 აპრილს სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმმა მიიღო „მკაცრად საიდუმლო” დადგენილება ე. წ. მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის საქმის ფალსიფიკაციის თაობაზე.

**„სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების მიერ საბჭოთა კანონების დარღვევების შესახებ.“**

*„როგორც სკპ(ბ) ცკ-ის 1951 წლის 9 ნოემბრისა და 27 მარტის დადგენილებებიდან ცნობილია, საქართველოში ვითომდა გახსნილი იყო მეგრული ნაციონალისტური ორგანიზაცია საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის ყოფილი მეორე მდივნის მ. ბარამიას მეთაურობით, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციას იმპერიალისტური სახელმწიფოების დახმარებით. ამასთან დაკავშირებით, უშიშროების ორგანოებმა დააპატიმრეს რიგი პასუხისმგებელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, რომელთა საქმესაც წელიწადზე მეტ ხანს იძიებდნენ.*

*გამოძიების დაუშვებელი გაჭიანურების გამო, რაც 15 თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა, აგრეთვე დაპატიმრებულთა მიმართ გამომძიებლების თვითნებობის და უკანონობის შესახებ მიღებული სიგნალების გამო, სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეამოწმა ამ საქმეზე არსებული ყველა საგამოძიებო მასალა. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში არანაირი მეგრული ნაციონალისტური ჯგუფი არ ყოფილა და არ არის, რომ მთელი ეს უაზრო ვერსია საქართველოში მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის შესახებ, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრის ნ. რუხაძის პროვოკაციული გამონაგონია.*

**(გაგრძელება იქნება)**

# ტოლედო



**ჩემ წინაშეა ელ გრეკოს „ტოლედოს ხედის“ კარგი რეპროდუქცია. იგი მხატვარს შეუქმნია 1610 წელს და ინახება ამერიკაში, ნიუ-იორკის The Metropolitan Museum of Art-ში.**

ტოლედოს ხედი აღსავსეა იდუმალებით. რომ არა მხატვრის ვიზიონერული ხილვა, ამ იდუმალებას ვერ შევამჩნევდით. შენობები თითქოს მკაფიოდაა გამოკვეთილი, მაგრამ სინათლე მათ ეცემა აუხსნელი წყაროდან. ქალაქის მიმდებარე ბაღები და ჭალები, ყვითელ შუქში გახვეულები, ჰორიზონტისკენ თანდათანობით გადადიან ყავისფერში და შავში, რომელზედაც ასევე შავი ღრუბელია დაკიდებული. ღრუბელი ალაგ-ალაგ ნათდება, თითქოს ელვით... საერთოდ, სურათის შემყურეს ისეთი გრძნობა გეუფლება, რომ ქალაქი ელოდება ხსნას და აპოკალიფსურ სინათლეს, რომელიც მოხდება იმის მეორედ მოსვლით, რომელიც ყოველივეს მბრძანებელია.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ტოლედოსთვის უქმდება დრო და სივრცე, როგორც გარდაცვლილებისთვის და იგი ღრუბლებიდან ეშვება სხვა ქალაქზე, მასში ისადგურებს. ეს ქალაქი ტფილისია, ჩვენი თბილისი. კიდევ ერთხელ: თბილისის ატმოსფეროში მძლავრად აღწევს ტოლედოს იდუმალება. ღამდება. იდუმალებით მოსილი, როგორც ყოველი ღამე.

თბილისის ერთი შენობის მრავალი სარკმლიდან ელექტრონის შუქი ანათებს. ეს საავადმყოფოა, მრავალი პალატით. ერთ-ერთ პალატაში მეც აღმოვჩნდი, სადაც გადაუდებელი ოპერაცია ჩამიტარა ვირტუოზმა ქირურგმა ვასილ აბულაძემ. ჩემს გარდა პალატაში ორი ავადმყოფია. ერთი ხანში შესული კახელი და მეორე, ასევე ხანში შესული თბილისელი აზერბაიჯანელი. ორივესგან ჩემდა მიმართ სიკეთეს ვგრძნობ. საოცარია სიკეთე ბნელ ღამეში, თითქოს ერთმანეთს უნდა უარყოფდნენ. მაგრამ აი, თენდება და კახელს მოაკითხავს მაღალი, ლამაზი ქალიშვილი. აღარ მახსოვს, ბალიში თუ ლეიბი მქონდა აჩეჩილი და კახელი თავის ქალიშვილს ეტყვის, რომ დამხმარებოდა, რასაც ის უსიტყვოდ შეასრულებს. კარგი ქალიშვილი გყოლია-მეთქი, ვეუბნები კახელს, როდესაც ქალიშვილი პალატას დატოვებს. ეგ ჩემი ქალიშვილი კი არ არის, – მესმის კახელისგან, – არამედ რძალია, რომელსაც დიდი მწუხარება შეემთხვა: ორიდან ერთი შვილი ავტოკატასტროფაში დაეღუპა (ესეც შენ, ბნელი ღამის გამოძახილი!).

ერთი დღის შემდეგ ძალზე ვთამამდები და პალატაში გავივლი, მაგრამ თავბრუ მეხვევა და ზურგით კედელს ვეყრდნობი. ეტყობა, სახეზეც გავფითრდი. ამ დროს აზერბაიჯანელისგან მესმის მჭახე ხმით გამამხნევებელი „ჰა, ჰა!“. ვერკვევი და სამადლობელოდ მას თავს ვუკრავ.

**საიდან ეს სიკეთე ბოროტების ზღვაში?!**

**თბილისის თავზე იდუმალებით მოსილი ზეცა გადაიშლება და იგიც იმასვე ელის, რასაც ელ გრეკოს ქალაქი ტოლედო.**

**ვიქტორ რცხილაძე**

# ნოე რამიშვილის საოჯახო არქივში დაცული მასალა ეროვნულ არქივს გადაეცა!



**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარის ნოე რამიშვილის შვილიშვილმა მიშელ რამიშვილმა ეროვნულ არქივს ბაბუის პირადი წერილები და მათ ოჯახში დაცული სხვა საარქივო მასალა გადასცა.**

**გადმოცემულ დოკუმენტებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნოე რამიშვილის მიერ მეუღლისთვის – მარიამ გოგიაშვილისთვის – 1924-1930 წლებში გაგზავნილი წერილები, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს ქართველი პოლიტიკოსის ადამიანურ ბუნებას, მის დამოკიდებულებასა და სიყვარულს ოჯახის მიმართ.**

მიშელ რამიშვილმა ეროვნულ არქივს ასევე გადასცა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს პერიოდული გამოცემა „ჩვენი დროშის“ 1950 წლის ნომერი; ქართული პერიოდული პრესის ნიმუშები; გამორჩეულია 1951 წელს დავით ბუაჩიძის სახელზე საფრანგეთში გაცემული სამოგზაურო დოკუმენტი და ლტოლვილის სერტიფიკატი; შეტყობინება ნოე რამიშვილის გარდაცვალების შესახებ, ასევე მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ნოე რამიშვილის მეუღლისა და შვილებისთვის გაგზავნილი თანაგრძნობის ბარათი; 1928 წელს პირველი რესპუბლიკის მთავრობაში ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრ კონსტანტინე კანდელაკისადმი მიწერილი წერილი და სხვა.

**აღსანიშნავია, რომ ეროვნული არქივი ინახავს ნოე რამიშვილის პირად ფონდს, რომელიც 1917-1965 წლებში შექმნილ 90 საარქივო საქმეს აერთიანებს. ნოე რამიშვილის შთამომავლის მიერ ეროვნული არქივისთვის ახლად გადმოცემული დოკუმენტები სწორედ ქართველი პოლიტიკოსის პირად ფონდს შეემატება და დაინტერესებული მკვლევრებისთვის უახლოეს მომავალში გახდება ხელმისაწვდომი.**





თემო ნაცვლიშვილი-100

# მეგზური ქართველთა იდენტობის სივრცეში

## 2. მოგზაურობა მეორე: ილია

**წინა პუბლიკაციაში ვგონებ გაცხადდა, რომ თემო ნაცვლიშვილი ჩვენი სამშობლოს კულტურული იდენტობის გამომკვეთი ხელოვანია. თუკი XVIII საუკუნის საქართველოდან მოქანდაკემ წინ წამოსწია სულხან-საბა ორბელიანის გამორჩეული ღვაწლი, XIX საუკუნიდან (როდესაც ჩვენი ქვეყანა, სამწუხაროდ, უკვე სახელმწიფოებრიობადაკარგულია), მან ილიას გრანდიოზულ ფიგურაზე დასვა მახვილი...**

ილია სხვა ტიპის მოღვაწეა. ისიც ევროპეისტია. ამასთანავე, იგი უფრო ფხიზლად, უკომპრომისოდ და უკანდაუხევლადაც აფასებს ჩვენს მუდამთანამდევ და მუდამგანახლებად პრობლემებს. რაღა თქმა უნდა, ის საკვირველად ყოვლისმომცველია – დიდი პოეტიც არის და პროზაიკოსიც, სამაგალითოდ მედგარი, ღრმადჩახედული და პირშიმთქმელი კრიტიკოსიც, მისი აწმყოსათვისაც და მერმისისათვისაც შეუდარებელი სტრატეგოსიცა და ბოლოს, გულმოწყლული, ქვეყნის ბედნიერების დამკვიდრებისათვის შეწირული და არსებითად, დაუფასებელი მოღვაწეც, რომელსაც – განუზომელი სიქველე-სიკეთისა და თავგანწირვის პასუხად, არა დაფასება, არა აღიარება, არამედ ყოვლად დაუნდობელი ანგარიშსწორება არგუნეს. აი, ეს ხვდა წილად – ასე გამოიხატა საქართველოში მისდამი „მადლიერება“, და ეს მხოლოდ მას როდი შეეხება! ისიც სათქმელია, რომ ილიას წრფელ თანამდგომთაც, ბოლომდე არც კი ესმოდათ ილიასეული დანატოვარის მნიშვნელოვანება. ისინი დიდწილად ცალმხრივად, ნაკლულად აღიქვამდნენ მისსავ ქმნილებებში გაცხადებულ, ღრმად ქრისტიანულ მსოფლგანცდას, ხშირად ბოლომდე არც კი ესმოდათ, მოდური იდეოლოგიებით ჭარბად გატაცებულთ, თუ რა განუზომელ საგანძურს წარმოადგენდა ეს ამოუცნობი მასშტაბის დამტევი და ბოლოს, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მიერ წმინდანად აღიარებული, უდიდესი პიროვნება.

ღრმად ტრაგიკულია ის, რომ წუთისოფლის დაუნდობელ მდინარებაში დაუღალავად ჯაფაგამოვლილს, სიცოცხლის მიწურულში უმადურობა, აგრესია და ცილისწამებათა მთელი ნიაღვარი არგუნეს, რის გამოც საკუთარი პოზიციების დაცვა-გამართლება თავადვე მოუწია!

მთელი ეს მეტისმეტად ტკივილიანი განცდა სარწმუნო ძალით შეიგრძნო და გამოავლინა კიდეც თემო ნაცვლიშვილმა თავის ქანდაკებებში.

ჯერ კიდევ 1953 წელს შექმნილ ილიას ქანდაკებაში შემოქმედმა ცხადყო სრულებით არაგარეგანი, ძირეული დამოკიდებულება ილიას ფენომენის გახსნისადმი. ეს სკულპტურა თავის „ფორმათგაგებაში“ მონუმენტურობასა და ენერგიულად, თავისუფლად და სწორედაც ფორმააღვსილად ნაძერწ, ხელმტკიცე პლასტიკურობას ამჟღავნებს. არის ამ ქმნილებაში თავისებური წონადობა და, ასე მგონია – ისიცაა მოხელთებული, რომ ილიას „პოეზია“ ტკბილხმოვანი კი არ არის, არამედ მას ლამის „მეგალითური“ სიღონივრე ახასიათებს. სახის შეკრულ და ნიუანსდახვეწილ დამუშავებაში – ოსტატმა უჩვენა გულისმიყურადებულობა, სიღრმე და არსებითზე მიმართული ფიქრმორეულობა, ანუ, სწორედ ის, რასაც თავად ილია – „ერის წყლულთან“ აკავშირებდა...

კიდევ მეტად შთამბეჭდავი აღმოჩნდა ილიას პორტრეტი, რომელიც 1956 წელს შეიქმნა. მხატვრული თვალსაზრისით, 1953 წლის ვერსია შესაძლოა, უფრო მომგებიანადაც გამოიყურებოდეს, მაგრამ საკუთრივ ილიას შინაგანი სულიერი მდგომარეობა, გულმოკლულობაც და თვით შეძრულობაც იმის გამო, რომ მთელი მისი თავდაუზოგავი ღვაწლი ერის ფეხზე დასაყენებლად, როგორც ჩანს, მისივე განჭვრეტით – კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა, დიდი ძალით არის გამოხატული. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან „შიდა კონფლიქტის“ კონცეფციაზე დაფუძნებული მარქსისტული დოქტრინა ძირეულად ეწინააღმდეგებოდა „ჩატეხილი ხიდის“ გამთლიანების ილიასეულ, ბრძნულ შეხედულებას, მის გადამწყვეტ კონცეფციას.

დაბოლოს: 1987 წელს შექმნილ ქმნილებას, რომელშიც ვგონებ, სინთეზირებულიც არის ორივე ზემოთგანხილული პორტრეტის მონაპოვრები.

მხატვრული თვალსაზრისით ეს ნაწარმოები უაღრესად ტევადად აღიქმება. მასში კონტრასტებიც უფრო მძაფრად არის ამეტყველებული. ძერწვის გამომხატველობაც დატვირთულია, „ფაქტურული სიცოცხლითაც“ – ნამუშევარი „წინწაწეულია“ და ოსტატობის ხარისხიცა და გაბედულებაც აქ სხვა რიგისაა, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ არსებითად, იმატა დრამატულობამ, თვით ტრაგიზმმა. ოსტატმა დამაჯერებლად გამოავლინა ამ ბუმბერაზი პიროვნების მძიმე განცდები, სამწუხაროდ – მარტოსულობა, მჭმუნვარება და კაეშნიანობა. ნამუშევარში ამ უდიდესი მოღვაწის მხატვრული სახე მართლაც განსაკუთრებული წვდომით აღმოჩნდა გახსნილი... აქ ჩანს არსებითი სხვაობა ილიას იმ სკულპტურებთან, რომლებშიც უპირატესად, იგი ნეიტრალური განწყობით არის წარმოჩენილი...







გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №87

## 3. მოგზაურობა მესამე: ვაჟა

**ადრეც მოგახსენეთ და ახლაც გავმეორდები: თემო ნაცვლიშვილმა ამა თუ იმ გამოჩენილი მოღვაწის „შინასახილველის“ წარმოსაჩენად არაერთგზის მიმართა მათთანვე ხშირად განახლებად, და ცხადია, თავად ხელოვანისათვის შთამაგონებელ დიალოგს. ასეა ვაჟასთან დაკავშირებითაც: ჩვენ ვხედავთ „მრავალ“, მის მიერ ყოველთვის სხვარიგად, „თავიდან“ და ახლებურად დანახულ ვაჟას, თუმცა ასეთ „სიმრავლეს“ მტკიცედ აერთიანებს ამ საკვირველი პიროვნების ხელშეუვლები და ამოუცნობი ბირთვი.**

ვაჟას სულიერი საუფლო იტევს გველისმჭამელის იდუმალ სიბრძნეს; ლუხუმის თავგანწირულ, შემაჟრჟოლებელ შემართებას; ლელასა და კვირიას სულისშემძვრელ მემსხვერპლეობას; ჯოყოლას უზენაეს ეთიკურ სიმაღლეს; აღაზას არნახულ სიფაქიზესა და გულსაკლავ განწირულობას; ალუდას გამორჩეულად რაინდულ ამაღლებულობას; გოგოთურის სიმხნევე-მამაცობასა და უღირსეულეს მიმტევებლობას...

ვაჟასთან ხომ ყოველივე ტრაგიკული, უმძაფრესი და ზოგჯერ ლამის იმედგანქარვებადიც კი, ისეთ წარმოუდგენლად ზეაღმატებულ მეტამორფოზებად გარდაისახება, რომ ჩვენ აღგვავსებს ღვთის სასოებით და ურყევი რწმენით, რაც სწორედაც რომ დიდი მწერლის თვისებაა. იგი გვაიმედებს, ძალას გვმატებს პიროვნული ღირსების ხელშეუხებლობის განცდით; მარადასაღორძინებელი შინაგანი თავისუფლების გარდაუვალი მოთხოვნით, რაც ეჭვმიუტანელ ფასეულობათა უკანდაუხეველ ერთგულებას გულისხმობს და არასგზით – რაიმე სახის თვითნებობა-წრესგადასულობას.

ვაჟა არა მხოლოდ ადამიანთა გულგრილობა-სიმდარის, არამედ, უპირველესად – სიფლიდის ვერამტანი და ვერშემწყნარებელია. მან ხომ გული შესწირა – ყოველნაირი სოციალური იერარქიის მიღმა – ადამიანის, როგორც ღვთის ხატის გაუნელებელ, უკიდეგანო სიყვარულს. ეს იმგვარი სიღრმეებამოუცნობი სიყვარულია, რომელიც მოკლებულია ყოველნაირ სენტიმენტალობას და ბოლომდე თანაგანმცდელიც არის. ვაჟა ის დიადი სულია, რომელიც არა ოდენ ადამიანებს, არამედ სულდგმულთაც უდიდესი თანალმობითა და მიმღეობით აღიქვამს – სწორედ იმგვარით, ნიკო ფიროსმანაშვილს ენითგამოუთქმელი ძალმოსილებით რომ გამოარჩევდა...

თუ რა გულსმოსახვედრად საკვირველი იდუმალება ახასიათებს მის ენიგმატურ პოეზიას, შეგვაგრძნობინებს არათუ ოდენ მისივ ლექსის მიყურადება, ანდა „გაზგერება“, არამედ მისივე სხვაგვარად გარდასახული პოეზიის „ამეტყველება“ ქანდაკების ენაზე, რაც თურმე შესაძლებელი ყოფილა, და აი, რატომ:

ჩვენმა პროტაგონისტმა მოქანდაკემ თავის ქმნილებაში „ვაჟა შვლის ნუკრით“, წარმოგვიჩინა „ვაჟასეულობის“ საკუთარი და ღრმადჩამწვდომი ხედვა (1961).

ეს მართლაც უცნაური ნაწარმოებია, რომელშიც ვაჟას იერის პლასტიკური კოდი მრავლისმგულვებელი გამოდგა. პოეტი გეგონება – „ამოიზრდება“ ნიადაგიდან, მიწის წიაღიდან, თითქოს თავად ბუნებიდან. ეს „წიაღი“ საკმარისად მოძრავფორმიანიც არის, ცოტათი მოუსვენარიც და „ფაქტურამგრძნობიარეც“. იგი იმავდროულად, კლდესაც და იქვე – ნაბადსაც მოგვაგონებს – ანუ, „პოლისემანტიკური“ ჩანს.

ამ ქანდაკებაში ვაჟას შემართული სიმკაცრის მიღმა, სხვათა თანაგანცდაც იხილვება. ქანდაკება „გვაუწყებს“, რომ პოეტი მთელი არსებითაა ზეშთაგონებული და უღრმეს ფიქრმდინარებას გულმიპყრობილიც. სკულპტურის ამ შემადგენლის მტკიცე სტატიკა შეფარული სულიერი ნაკადიანობითაა აღსავსე. მთელი ეს ფორმანაძერწობა ერთგვარი მობილიზებულობის დროს, შერბილებულია შვლის ნუკრის ფიგურით; მისი ლირიკული ინტონაციით, რასაც ხელის მტევნის ფაქიზი სენსიტიურობაც აძლიერებს. დაუდგრომელი ძალა და დელიკატური „სილბოა“ აქ ერთმანეთს შეხამებული.

სულ სხვა სახის სახეობრიობა და თავისებურად ღრმადამეტყველებული ექსპერიმენტულობაც მიიპყრობს ჩვენს მზერას, როდესაც იმავე წლის „ვაჟასეულობის“ სრულიად მოულოდნელ ვერსიაში – ჩვენ კვლავაც მივეახლებით პოეტს, ღღონდაც – აქ უკვე სტიქიონივით დაძრულს, მრავლის-

გადამლახველს. ეს იმავდროულად, მისივ სულიერი გმირობის ხატებაა. არის ამ უჩვეულოდ შთამბეჭდავ ქანდაკებაში რაღაც „ნეომოდერნისტულ-ნეოფუტურისტულიც“ კი, ოღონდაც უფრო ფორმით, ვიდრე კონცეფციით. კონცეფცია კი სულ სხვაა: აქაა ვაჟა – მძლევარი, ვაჟა – შემმართებელი. ამ შემთხვევაში, სწორედ მისი პოეზიის ზენასაკენ აღძრული და თანაც სიბობოქრით აღვსილი სულისკვეთებაა ამეტყველებული. ასეთი ინტერპრეტაცია ერთობ შთამბეჭდავია – ყველაზე მეტად დიდი გაბედულება და თითქოსდა „ტეხილ“ ფორმათა ძალუმი ექსპრესია გვიზიდავს – ბუმბერაზი პიროვნების შინაბუნების მწვდომი რომაა!

კიდევ „სხვა“ არის „ვაჟა“, რომელიც ასევე 1961 წელს შეიქმნა, თუმცა – ეს კვლავ „ის“ ვაჟაც არის. მასშიც, ისევ და ისევ აღმოჩენილი და გახსნილია ახალი ნიუანსი: ჩვენ ვხედავთ პოეტს, რომელიც თავადვიწყებული შთაგონების მომენტშია „დაჭერილი“. იგი თითქოსდა შეყოვნდა, გაირინდა. ესაა მომენტი, როდესაც მისივე ლექსთამთხზველობის საიდუმლოებით მოცული დაბადება სულ სხვა დატვირთვის მქონე წამიერებაში იშვება. ამიტომაცაა პირისახე განდგომილი, თითქოსდა განყენებულიც. მარჯვენა ხელის ჟესტი, უნებლიე მოძრაობა ავლენს „თვითგულმიპყრობილობის“ უტყუარობას. ეს არის ჟამი – ჯერ მხოლოდ „შინასამზეოზე“, და არა „გარესამზეოზე“ ლექსის გამოტანისა, მისი აღმოცენებისა. ქანდაკებას უხდება ზოგან მოუხეშავად დამუშავებული ზედაპირისა და შედარებით უფრო ერთიანი შესამოსელის ნაწილთა შეპირისპირება, რაც სულიერი ძაბვის გამოხატვაში მეტი სარწმუნოობის შემომტანია.

დაბოლოს, – შევეხოთ ვაჟას პორტრეტს – მართლაცდა საუკეთესოთაგანს (უკვე – 1964).

იგი თითქოს კლდიდან არის ამოკვეთილი. ასეთი მიდგომა „რისკიანად მომგებიანია“. მკვეთრად შუქჩრდილკონტრასტებიანი, ზედაპირმოუსვენარი, ბრუტალური, ზოგან „ნაჩეხი“ თუ დანაპრალებული ფორმები ზედმიწევნით ესადაგება გრ. კიკნაძისეულად – ვაჟას „მიუკიბავობას“ და დავძენდი – პირდაპირობას, სინაღდეს.

მთავარი, რაც ამ ქანდაკების მნიშვნელოვანებას ადასტურებს, ესაა არა მხოლოდ ცალკერძ – მისი ძლიერი „ფორმამეტყველება“, არამედ, უპირველესად – ვაჟასეული ზეშთაგონებულობის მაქსიმალური გამოხატვა სწორედ ასეთი ფორმებით. ამგვარ განაცადს აშკარად აძლიერებს თვალების უაღრესად მეტყველი, თითქოსდა უსასრულობასთან თანაზიარი გადაწყვეტა...

ახლა კი გრაფიკასაც შევეხებით, რომელშიც ავტორი ასევე ვაჟას თემას მიეახლა: ოსტატთან კვლავაც 1961 წელი გამოდგა ამ თვალსაზრისით კონცენტრირებული. იმ წელიწადს ვაჟას დაბადებიდან 100 წლისთავი აღინიშნებოდა და ალბათ იმიტომ.

ერთ-ერთ ფურცელში აღვიქვამთ უფრო სენსიტიურ ვარიანტს: იმ ეპოქის გრაფიკისათვის ნიშანდობლივი, ცხადად ლაკონური ხერხებით მოწვდილი ბუმბერაზი პოეტის იერი ჩვენ „გვეახლობლება“ – გულისხმიერების კონცენტრაციით, თანაგანაცადიანობით. ესაა „ვაჟა შვლის ნუკრით“.

მომჭირნე, თანაც თავისუფალი და იქვე ზუსტად მიკვლეული, ალაგ „ხელსმინდობილი“ შტრიხებითა თუ კონტურებით, თითქოსდა „სივრცეტევადი“ სიშავიდან – „ამოიბადება“ ვაჟას ხატება, რომელსაც შვლის ნუკრი ლამის „შესისხლხორცებულად“ უპყრია ხელთ. შეპირისპირებანი აქაც ამომწურავად გამომხატველია. შევიგრძნობთ ბუნების შეუდარებელი მესაიდუმლის გულშიჩამწვდომ უბრალოებას, ზემგრძნობიერებასა და მართალია უთქმელი, მაგრამ სიღრმეებამოუწურავი სიყვარულით აღვსილობას დაუცველი, მოწყვლადი, ყოვლად უმწეო არსებისადმი...

მეორე პორტრეტი ბევრად კრებითი და მრავლისშემცველია (ისევ – 1961). აქ ვაჟას დიდებულებაა გამოხატული – ლაკონური, ეკონომიური, ლაქისებრი „დატანილობებით“, რომელნიც ჰბადებს პირისახის ტექტონიკას. მონუმენტურ იერთან ერთად, სისრულით შევიგრძნობთ ვაჟასეულ გულშეძრულობასა და მჭმუნვარებას, ვინაიდან უმაღლესი ჰარმონიულობის, ულევი სიკეთისა და საყოველთაო სიყვარულის არათუ მხოლოდ მოსურნე, არამედ სრულად გამტარი, იგი მთელი არსებით განიცდიდა „ამმიწიერების“, წუთისოფლისეულობის მის მიერ უღრმესად დანახულ, ქართულ პოეზიაში კი მრავალგზის გამოთქმულ სიმუხთლესა და სულ სხვა რანგის ჩამწვდომობით გამოხატულ დრამატულობას. ამასთანავე, აქ გამოვლენილია ის შინაგანად შეუპოვარი გმირულობის სული, რაც ამ მომცრო გრაფიკულ ფურცელს უთუო დიდმასშტაბიანობას ანიჭებს...

**სამსონ ლეჟავა,**
ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი.

(გაგრძელება იქნება)



# დიადი ნათელი

## ტრაგიკულად დაღუპული ლაშა ლაშხისა და ობოლა ციმაკურიძის ხსოვნას

**იმ საბედისწერო დღეს საჩხერე აკაკის დაბადების დღეს ზეიმობდა. საზეიმო ღონისძიების დამთავრების შემდეგ იმერულ სუფრას ვუსხედით მუნიციპალიტეტის იმდროინდელ გამგებელ ცეზარ ლაშხთან ერთად, შუა პურის ჭამაში ვიყავით, როცა ბატონ ცეზარს შეატყობინეს უფროსი ვაჟის, ლაშას, ცუდად ყოფნის ამბავი.**

**რაღა გვეპურმარილებოდა. ცუდად კი არა, თურმე, სულაც აღარ იყო...**

**25 წელი გავიდა მას შემდეგ.**

2000 წლის 21 ივნისის მშვიდი ნაშუადღევია. მტკვრის სანაპიროზე ორი საჩხერელი მეგობარი – ცნობილი პაროდისტი ოგოლა ციმაკურიძე და საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი ლაშა ლაშხი სეირნობენ, მიბაასობენ, გარდასულ დღეებსა და მომავლის ამბებზე ჰყვებიან. მოსაყოლი და გასახსენებელი, იცოცხლე-თქო, ბევრი აქვთ...

ნაუცბათევად – არავინ იცის, რატომ და რისთვის, ობოლა სანაპიროს დამცავ ბეტონზე შეხტება, დიდი ხნის წინათ აკვიატებულ უცნაურ ფრაზას – „მე თუ წავედი, წავალ, წავალ და წავალო“ – წარმოთქვამს და... მტკვრის ტალღებში აღმოჩნდება.

გადახტა თუ გადავარდა? ეს სულ ერთია, წავიდა, წავიდა და წავიდა...

მიშველეთო – შეჰყვირა ლაშამ, მყისიერად მდინარეში გადაეშვა და მეგობრის გადარჩენის ამაო მცდელობისას ისიც გაუჩინარდა...

* * *

ქვეცნობიერი, ინსტინქტური იყო ლაშას საქციელი თუ შეგნებულად განზრახული? უფრო მეორე, ვიდრე პირველი...

მაშ, რატომ უპასუხა ერთ-ერთ ინტერვიუში კითხვას: რა მიგაჩნია ადამინის მთავარ ღირსებადო? – მეგობრისთვის თავგანწირვაო!

ეტყობა, მასში ცოტნე დადიანის, იოსებ ჟორდანიას, გრიგოლ ფერაძის, მიხეილ თამარაშვილისა და მსგავსთა მათთა სისხლმა იყივლა, რომელიც ქართველში ყველა ეროვნებაზე მომეტებულად ჩქეფს...

* * *

დაობლდა ლაშას ერთადერთი შვილი, იმ დროს 4 წლის მარიამი; მთლად გათეთრდა თმაშევერცხლილი მამა, ცეზარი;

ნაადრევად დაქვრივდა ლაშას მეუღლე, სულ ახალგაზრდა მაკა კომლაძე; დარდისგან დაოსდნენ ლაშას დები და ძმა – მაკა, თეა და კახა.

ახლა ისინი ჯილდოებივით ატარებენ და ჩირაღდანივით უნთიათ გულში ლაშას თავგანწირვის დიადი ნათელი.

უბედურებისაგან გაქვავებულმა მშვენიერმა ქალბატონმა, ლაშას დედა ზოია გაბაძემ კი, ოცდახუთწლიანი ყოველდღიური გლოვის შემდეგ, თან წაიღო ეს ჯილდო – ჩირაღდანი შვილისათვის გადასაცემად.

* * *

დაობლდნენ ობოლას შვილებიც – გიორგი და ნუცა. მათაც უნათებთ გულებს იგივე ჩირაღდანი.

თვითონ ობოლაც ბავშვობიდანვე ობოლი იყო – „მრგვალი“ ობოლი.

* * *

მტკვრის სანაპიროზე, სადაც ეს ამბავი მოხდა, მემორიალური დაფაა გაკრული ამ ტრაგედიის ამსახველი წარწერით.

* * *

სოფელ საირხეში ორი ძვირფასი საფლავია, ერთმანეთისგან ერთი მკლავის გაწვდენა მანძილზე დაშორებული – ლაშასი და ობოლასი.

მოჩვენებაა თუ სინამდვილე? – შუაღამისას ისმის ხოლმე ობოლას შეძახილი – „მე თუ წავედი, წავალ, წავალ და წავალო“...

„მიშველეთო“ – ყვირის ლაშა...



ქალაქ საჩხერეში, კულტურის ცენტრის შენობის სიახლოვეს დგას „მეგობრობის მემორიალი“ – ახლახან ასევე ნაადრევად გარდაცვლილი ცნობილი მხატვრის ბესო კუსიანის შესანიშნავი ქმნილება.

ტალღებიდან ამოყოფილ ხელს მაღლიდან აწვდიან საშველად ხელს!..

ეს ლაშას და ობოლას ხელებია...

**„საზოგადოება საჩხერელი“**



„ლევილის დედა“ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მცირე სცენაზე მეშვიდედ გათამაშდა... მაყურებელი – ცოტა, ემოცია – ზღვა... გული დამწყდა... ამ კონტექსტის სპექტაკლი დიდ დარბაზში და ანშლაგით უნდა მიდიოდეს. რა კონტექსტის? გმირი, პატრიოტი ქართველების ისტორიების. იძულებით მოწყვეტა ფესვებს და მშობლების საფლავის მიწით ცხოვრება თუ გაძლება უცხო მიწაზე. ზუსტად იმ კონტექსტის, რამაც დღემდე ჩვენი იდენტობით მოგვიყვანა.

„ამბავი ნამეტია ბერძენიშვილის და ვალოდია გოგუაძის ცხოვრებისა“ – ასე ჰქვია პიესას, რომლის ავტორიც 88 წლის ნანა კაკაბაძე გახლავთ. ნანა ნამეტია ბერძენიშვილის ძმის შვილიშვილია.



„სამშობლოს მონატრებით საფრანგეთში გარდაცვლილი ქართველი ემიგრანტების ძვლები მოაგროვა და დაკრძალა...“

# სცენაზე გაცოცხლებული „ლევილის დედა“

## და ვინ იყვნენ ნამეტია და ვალოდია?

**გურიის სოფელ შუა ფარცხმაში ღარიბი გლეხის ოჯახში მეცხრე შვილად დაბადებულ გოგონას ასეთი უცნაური სახელი შერჩა – ნამეტია. ისე ივლიტა დაარქვეს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი იყო, როდესაც ცოლად გაჰყვა ვლადიმერ გოგუაძეს, მალე სწავლა მიატოვა და ქმართან ერთად იბრძოდა სახალხო გვარდიის ჯავშნოსან მატარებელზე.**

1921 წელს სტამბოლში ჩააკითხა დაჭრილ მეუღლეს. 1923 წელს რუმინეთ-პოლონეთის გავლით წყვილი პარიზში ჩავიდა და თავი ლევილის მამულს შეაფარა. ნალია აუგიათ გურულ ყაიდაზე, მოჰყავდათ სიმინდი, ამზადებდნენ ყველსა და თაფლს, აყენებდნენ ღვინოს. და ამ ყველაფერში სამშობლოს გემოს ატანდნენ.

ნამეტია ბერძენიშვილის ინიციატივით შეგროვდა თანხა, რომლითაც შეიძინეს მიწა და სადაც ლევილის ქართული სასაფლაო განთავსდა. პარიზიდან 26 კილომეტრზე – სულ 130 ათას ფრანკად. მანამდე, პარიზსა და მის ახლომახლოდ მცხოვრები ქართველები, სულ სხვადასხვა ადგილას იკრძალებოდნენ. ადგილობრივმა კომუნამ ემიგრანტ ქართველებს ლევილს გარეთ მცხოვრები ქართველების დასაფლავების ნებაც დართო. სწორედ ამ ღვაწლის გამო ნამეტიას „ლევილის დედა“ შეარქვეს.





ჭანჭათელი (ლანჩხუთის რაიონი) ვლადიმერ გოგუაძე ოდესის უნტეროფიცერთა სამხედრო სკოლაში სწავლობდა. 1910-1916 წლებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით გურიაში მოქმედ წითელრაზმელებს ებრძოდა; 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯავსნოსანი მატარებლის უფროსი იყო; 1918 წელს აქტიურად მონაწილეობდა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლებში, საქართველო-სომხეთის ომში; 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მე–11 წითელი არმიის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში; ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ცხოვრობდა თურქეთში; იქ ჩააკითხა მეუღლემ და 1923 წლიდან უკვე ერთად მოღვაწეობდნენ საფრანგეთში; ვალოდია თანამშრომლობდა ქართულ ემიგრანტულ პრესასთან; 1963 წელს პარიზში გამოიცა მისი „მოგონებანი“; არის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, ქართული პოლიტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

## წყვილს შვილი არ ჰყოლია

**ისტორიულ-დოკუმენტური დრამის რეჟისორი პიესის ავტორის ნანა კაკაბაძის ქალიშვილი რუსუდან კობიაშვილი გახლავთ. რეჟისორმა სახელოვანი წინაპრების ხსოვნას ძეგლი ამ სპექტაკლით დაუდგა.**

ნამეტიას და მისი ძმისშვილის – ზინობიას როლებს (სხვადასხვა ასაკში) ქეთი ქიტიაშვილი ასრულებს.

ძალზე ორგანულად და ერთი შეხედვით სადად, თუმცა იმ ემოციით დატვირთული, მთელი ამ ისტორიის გათვალისწინებას რომ უნდა ახლდეს და ამ ქალების ბიოგრაფიას სარჩულად ედებოდეს.

გულის ამაჩუყებელია ისიც, რომ ვალოდიას როლს მისი ძმის შთამომავალი – მსახიობი რატი გოგუაძე ასრულებს.

ზინობიას შვილის ნანა კაკაბაძის როლს ბავშვობის ასაკში – ნია ტოგონიძე, ხოლო „ასაკში“ ნინო ანდრიაძე ასრულებენ. მეორე შვილის ნამცოს როლშია ელენე დარჩია. ელენეც მეორე როლს ასრულებს სპექტაკლში. ის ახალგაზრდა ზინობიას როლშიც გვევლინება. ეს მხატვრულ-ლიტერატურული სპექტაკლია, მხოლოდ ნამდვილ ფაქტებზე დაყრდნობილი, არაფერი მიგვიმატებია, ზუსტ ფაქტებზეა აგებული. მასში არაფერია უტრირებული. ეს არის მიმოწერებზე, წერილებზე დაყრდნობით დაწერილი პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი. მაგალითად, დაკითხვის სცენა – სრულად ნატურალურად არის გადმოცემული...

რუსუდან კობიაშვილს დიდი ხანია ვიცნობ. ის კარგი მსახიობია. მოგვიანებით სარეჟისორო ფაკულტეტი დაასრულა. მასთან წინა სეზონში, ძალიან საინტერესო სპექტაკლზე ვიმუშავე. ნინია სადღობელაშვილის პიესა „საქმე“ რუსუდანმა ილიაუნის სცენაზე დადგა. შემდეგ, გასულ ზაფხულს დამირეკა და მითხრა, დედაჩემმა დაწერა პიესა, რომლითაც მინდა შთამომავლის ვალი მოვიხადო და დიდ ბებიას სპექტაკლით ძეგლი დავუდგაო.

და მომიყვა ნამეტიას და ვალოდიას ისტორია...

კინაღამ გავგიჟდი.

ავფორიაქდი...

გული ამიჩუყდა...

წამაკითხა უკანასკნელი ინტერვიუ ნამეტიასთან, მომასმენინა მისი ხმა. ამ ყველაფერმა შთაბეჭდილების ქვეშ მომაქცია.

ქალბატონი ნანა, რუსუდანის დედა, 86 წლისაა. ის 1988 წელს ნამეტიას 40-ზე იყო ლევილში ჩასული. იქიდან წამოიღო წერილები, სამოსი, ფოტოები... რის მიხედვითაც დაწერა პიესა... ამდენად „ლევილის დედა“-ში ყველაფერი რეალურია.

თავიდან ისე იყო განსაზღვრული, რომ მე მხოლოდ ნამეტიას როლი უნდა შემესრულებინა. თუმცა, მერე რეჟისორმა მითხრა, ზინობიაც შენ უნდა ითამაშოო. ცივ უარზე ვიყავი, ასეთ ტვირთს ვერ ავიკიდებ-მეთქი. მითხრა, რომ ძალიან ჰგავდა ზინობია მამიდას, ნამეტიას, როგორც ფიზიკურად, ასევე ზოგადად. ქეთი, შეეგუე იმას, რომ ახალგაზრდობიდან სიბერემდე ამ ორ ქალს შენ ითამაშებო. დამეცა თავზარი. ვერაფრით გადავარწმუნე. დამამშვიდა – არ გადაგჩეხავ, ამაზე არ ინერვიულოო. პროცესში ჩავერთე და... იძულებული გავხდი როლებში გავახალგაზრდავებულიყავი. ასაკს არ აქვს მნიშვნელობა, როცა მსახიობი ფორმაშია და აქვს მზაობა, ის მოცემულ ამოცანას აუცილებლად დაძლევს. მე მაინც ეჭვით ვუყურებ ჩემ თავს, თუმცა ამბობენ, რომ გამოვიდა.

როლის გასაღები? იცით, რამ მომცა... ჩვენ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის შიში მუდმივად მოგვყვება. მეოცე საუკუნის ბოლოსაც და ოცდამეერთეშიც გამოვიარეთ ორი ომი, ორჯერ დავკარგეთ საკმაოდ დიდი ტერიტორია. სულ გვემუქრება და ეს სულ თავში გვაქვს ჩაბეჭდილი. აი, ეს იყო ჩემი გასაღები, ძირითადი ფიქრი. და თუ როგორ შევასრულე, ეს მაყურებელმა განსაჯოს. მე ამ მოცემულობამ მათამაშა. მინდოდა გვერდზე დავსდგომოდი ადამიანს, ვისი წინაპრებიც უნდა გაცოცხლებულიყვნენ. თუმცა, ნამეტია და ვალოდია მხოლოდ რუსიკოს წინაპრები არ არიან, ისინი ჩვენი წინაპრებიც არიან.

ამ წყვილს ასეთი ღვაწლი მიუძღვის თავისი ქვეყნის შვილების წინაშე – ლევილის სასაფლაო მათი გაკეთებულია. თავად არაფრის მქონენი ძალიან გამცემი ადამიანები იყვნენ. საკუთარი შვილი არ ჰყავდათ და სულ სხვებზე ზრუნავდნენ, ცოცხლებზეც და მიცვალებულებზეც. არ ვიცი, ეს ლეგენდაა თუ რეალობა, თითქოს საფრანგეთის მთავრობამ, რომელთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა ნამეტიას, იქ მცხოვრებ ებრაელებზე სთხოვა, ქართველებად დაეწერა ისინიც. ნამეტიამ და ვალოდიამ ქართველებად გააფორმეს და შეიფარეს ებრაელები. ეს ქალი დაჭრილებს უვლიდა. ნებისმიერ მნიშვნელოვან მოვლენაში მონაწილეობდა. ნამდვილი პატრიოტები და მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე დიდი პიროვნებები იყვნენ. სპექტაკლში ნამეტიას წერილების კითხვისას ძლივს ვიკავებ თავს, რომ არ ვიღრიალო... აბა, როგორ უნდა გაუძლო ამ ფრაზას – „მე რუსს არ ვთხოვ ჩემს ქვეყანაში შეშვებას“!

ნამეტია 97 წლის ასაკში გარდაიცვალა, ვალოდია – 74...

ქალბატონი ნანა კაკაბაძე გენერალურ რეპეტიციაზე მოვიდა და მისი აზრის მოსასმენად რომ მივედი, ვერ ლაპარაკობდა. მასზე ძალიან იმოქმედა სპექტაკლმა. დედაჩემი, ზინობია და ჩემი ნამეტია გამიცოცხლეო, მითხრა. ლაპარაკის უნარი არ მაქვსო. ისე იმოქმედა, რომ შეგვეშინდა...

შთამომავლისგან ეს ღირსეული საჩუქარია, ვფიქრობ და ამ ისტორიულ დრამაში მეც რომ ვმონაწილეობ, მადლობელი ვარ

ყველამ, მთელმა გუნდმა თავდადებით ვიმუშავეთ. სპექტაკლში ასევე თამაშობენ ლაშა გრძელიძე, ვახო ჩაჩანიძე. მხატვარი მაია სხირტლაძეა, რომელმაც არაჩვეულებრივი კოსტიუმები გააკეთა. რუდუნებით შექმნა და მოჰქონდა, ამოვარდებოდა შუა რეპეტიციაზეც, გვისწორებდა.

სხვათა შორის, სპექტაკლში, ლევილში რომ ჩადის ნამეტია ბერეტით, ეს „ლუქი“ მე ავიღე ნამეტიას ფოტოდან. მისი ვიზუალი, კოპლებიანი ბლუზა და ზოგადი იმიჯი მაქსიმალურად მივამსგავსე.

ზაზა მარჯანიშვილის მუსიკა არშიასავით აქვს შემოვლებული სპექტაკლს. ის იმ რანგის მუსიკოსია, მაყურებელი რომ დაჰყავს ლაბირინთებში, გასაღებს აძლევს. მას როგორც კომპოზიტორს მართლაც აქვს იმის უნარი, რომ მისი მუსიკა მართლაც არშიასავით შემოავლოს სპექტაკლს. აქვე ვახსენებ ნათია ბოშიშვილს – ტექნიკურ რეჟისორს, რომელმაც დიდი სიყვარულით იმუშავა. ყველამ დიდი სიყვარულით მიიღო და იმუშავა მასზე.

ისეთი მგრძნობიარე თემაა, ალბათ რკინასაც ალღობს.

**ქართული სასაფლაო რომ გაეკეთებინათ, ვალოდია და ნამო ყველაფერს აკეთებდნენ. ქონება არ გააჩნდათ, თუმცა არაფერს იშურებდნენ. მიწებთან დაკავშირებით შარლ დე გოლთანაც ჰქონდა შეხვედრა, პოულობდა მეცენატებს. სამშობლოს მონატრებით ემიგრაციაში გარდაცვლილი ქართველების ძვლები მოაგროვა და დაფლა ლევილში.**

მსგავსად მადლიანი საქმე, რაც ამ ცოლ-ქმარს აქვს გაკეთებული, არ მსმენია. რუსიკოს ვეუბნები, ყველა იქ გაკეთებული სიკეთის მადლი შეგეწიოთ-მეთქი. სპექტაკლი რომ სრულდება, ასეთი განცდა გვეუფლება, რომ ვალს ვიხდით... კარგი გაგებით.

ნამეტიას კუთხეში, ოზურგეთში ჩავედით ამ სპექტაკლით და არაჩვეულებრივი შეხვედრა მოგვიწყვეს. დარბაზი გადაჭედილი იყო. მოვიდნენ ბერძენიშვილები, გოგუაძეები. გულის ამაჩუყებელი საღამო იყო... გვინდა „ლევილის დედა“ ლევილში ჩავიტანოთ. ეს მხოლოდ სურვილია... რა კარგი იქნებოდა...

აქვე მინდა ჩემი გულისტკივილი გითხრათ: მაყურებელი გასართობ სპექტაკლებზე უფრო მეტად დადის, ვიდრე შემეცნებითზე. ხალხმა დაივიწყა, რომ თეატრში გასართობად არ უნდა დადიოდეს. სამწუხაროდ, მოთხოვნა შოუზე და გართობაზეა. როგორც წიგნის კითხვისას ახალი და შენთვის სასარგებლო უნდა შეიმეცნო, ასეა სპექტაკლზე მისვლაც. აქ კიდევ უფრო მძაფრად და მხატვრულად არის გადმოცემული ამბავი. თეატრმა ხმა უნდა მიაწვდინოს მაყურებელს. ეს სპექტაკლი კი მხატვრულად გადმოცემული ისტორიის გაკვეთილია.

„ლევილის დედა“ ერთხელ სკოლის აბონემენტზე ვითამაშეთ და ბავშვები არ იშლებოდნენ, არ მიდიოდნენ დარბაზიდან. იმედი მაქვს, მომავალ წელს ისევ ვითამაშებთ აბონემენტზე. არაჩვეულებრივად მიიღეს. კაპელდინერებმა გვითხრეს, ბავშვები კითხულობდნენ, ნამდვილად მოხდა ეს ისტორიაო. არ მიდიოდნენ... ჩემი 15 წლის დის შვილიშვილი მოვიდა. მითხრა, მომერიდა, მაგრამ მაინც ამეტირაო. მომავალ თაობას უნდა გავაგებინოთ, ვინ ვართ, როგორ მოვედით, ვინ არიან ჩვენი წინაპრები. ისედაც არავინ არაფერს კითხულობს, ლიტერატურა გვერდზე გადადეს. მხოლოდ შოუს უყურებენ. ამიტომ ჩვენ უნდა მივაწოდოთ, მოვუყვეთ და ვაჩვენოთ.

**ქეთი ქიტიაშვილი**





# აზიელებსაც მივაჩვევთ!

**რადგან ისტორიას ფაქტებით მსჯელობა უყვარს, ჩვენც გადავწვდეთ საუკუნეთა სიღრმეებს და გავიხსენოთ, რომ აზია მაკედონელმაც კი ვერ დაიპყრო, მაგრამ ის, რაც სწორუპოვარმა მხედართმთავარმა ვერ მოახერხა, თანამედროვე ქართველმა დევგმირებმა ლამის უსისხლოდ შეძლეს.**

მაშ ასე, ისევ ფაქტი, მოქმედების ადგილი კი უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი. მსოფლიოს შერეული გუნდური ჩემპიონატი. საქართველო ამარცხებს ჩინეთს – 4:1, ერთადერთ არააზიურ იტალიას – 4:0, 8 სეზონის განმავლობაში წაუგებელ ძიუდოს სამშობლოს იაპონიას – 4:2, ფინალში კი კორეას – 4:1 და პირველად ლაშქრავს ოლიმპს.

ასეთი ტრიუმფით ჭვაროსნებმა ჩასაფრებულთა მთელი არმია დაადუმეს, რომლებმაც ამ დღეებში მთელი სოციალური ქსელები წალეკეს – ინდივიდუალურ ტურნირში შევრცხვითო. კი, მაგრამ ბნელა? – მადიართა ტატამზე მოხვეჭილი 4 მედალი, ვაჟთა 7 წონიდან ორში ნაჭიდავები ფინალი და ქალთა ქალის **ეთერ ლიპარტელიანის** ისტორიული პირველი ტრიუმფი როდიდან ითვლება წარუმატებლობად?

იქნებ ბოღმამ ყველა დაასკლეროზა და დაავიწყა, რომ მაშინ, როცა საამურ საბჭოთა ეპოქაში მხოლოდ 3 მსოფლიოს ჩემპიონით ვიწონებდით თავს (**თემურ ხუბულური** – ორჯერ, **ამირან ტოტიკაშვილი და კობა კურტანიძე)**, უკანასკნელ წლებში 6 ფორუმიდან სამშობლოში მინიმუმ ერთი გვირგვინოსნით ვბრუნდებით?

მეტ-ნაკლებად მთელი გუნდის საოცარი ბრძოლისუნარიანობის ფონზეც კი განსაკუთრებით აღსანიშნავია მოუთვინიერებელი **ლაშა ბექაურის** კარგი გაგებით სპორტული სიმხეცე, რომელსაც არაკეთილმოსურნეთაგან გარდაუვალი ჩავარდნის გამო ყველაზე მეტი სუსხიანი სტრიქონი ერგო. ნახევრად ხუმრობით ვთხოვოთ ოპონენტებს, რომ თუ მსგავსი შემთხვევა გამეორდება, არც მერე შეიკავონ თავი, რადგან დიდი ჩემპიონი, დარწმუნებულნი ვართ, კვლავაც ტატამიდან მიუზღავს საკადრისს ორგულთ.

ეს, ასე ვთქვათ, ზოგადად, კონკრეტულად კი აღტაცებას იწვევს **სანშირო მურაოსთან** გაშვებული ვაზარის შემდეგ იპონით მოპოვებული გამარჯვება. დიახ, ინდივიდუალურში რამდენიმე დღის წინათ გამხდარ ჩემპიონს ლაშამ 6-დან მეექვსე(!) შერკინება მოუგო. თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ იგი იაპონელია!

**საქართველო – 2025: მარიამ ჭანტურია, სოფო სომხიშვილი, ეთერ ლიპარტელიანი, მიხეილ ბახბახაშვილი, ლაშა ბექაური, გურამ თუშიშვილი. მთავარი მწვრთნელი ლაშა გუჯეჯიანი.**

# შენგელიას წვლილი



**„ვირტუს ბოლონიას“** წამყვანმა კალათბურთელმა **თორნიკე შენგელიამ** განაცხადა, რომ ბედნიერია, იტალიის ჩემპიონობაში თავისი წვლილი რომ შეიტანა.

**„მე და ჩემი ოჯახი ბოლონიას პირველივე დღიდან საკუთარ სახლად მივიჩნევთ. ეს ქალაქი, ეს გულშემატკივრები, ეს გუნდი – ყველა, ვისაც ბოლონიაში კალათბურთი უყვარს, იმსახურებდა ამ სკუდეტოს და მიხარია, რომ მის მოპოვებაში ჩემი წვლილი შევიტანე.**

**მეოთხედფინალის მეხუთე მატჩი იყო გარდამტეხი. ეს შეხვედრა არც უნდა მეთამაშა, მაგრამ ივანოვიჩი მენდო. მადლობა ღმერთს, რადგან ტრავმირებულმა ვითამაშე და შეიძლებოდა, უარესი შედეგი მოჰყოლოდა. როცა მატჩს ვაგებდით, ვფიქრობდი: „არ შეიძლება ყველაფერი მეოთხედფინალში დასრულდეს“. ნახევარფინალში „მილანოსთან“ საკუთარ თავს ვეუბნებოდით, რომ გამარჯვების დრო იყო.**

**ეს სკუდეტო 100%-ით აკილე პოლონარას ეძღვნება. ის მებრძოლია, შესანიშნავი ადამიანია. როდესაც მისი დაავადების შესახებ გავიგეთ, განადგურებულები ვიყავით, ენერგია ნულზე გვქონდა, მაგრამ არ გვიფიქრია ტიტულის ვერმოგებაზე, აჩის წინაშე ვალში ვიყავით. სწორედ ამიტომ მივუტანეთ თასი, რადგან დარწმუნებულები ვართ, რომ ის თავის ბრძოლას მოიგებს“**, – თქვა შენგელიამ.

შეგახსენებთ, რომ თორნიკე შენგელია ფინალურ სერიაში „ბრეშასთან“ საშუალოდ 25 ქულას, 7.3 მოხსნას და 4.6 პასს აგროვებდა. ქართველი ფინალის MVP-ად დასახელდა. შენგელია კარიერას „ბარსელონაში“ გააგრძელებს, რაც „ვირტუსის“ პრეზიდენტმაც დაადასტურა.

# საუკუნეთა მშვენება

**ზაზა დარასელზე აუგი არავისგან გვსმენია, მათ შორის არც იმათთაგან, კარგს საკუთარ სისხლსა და ხორცზე რომ ვერ ათქმევინებ.**

ქალაქელი ყმაწვილი ფეხბურთს „ფშმ“-ში **ვლადიმერ ელოშვილთან** თამაშობდა, მაგრამ როცა დილემის წინაშე დადგა – სპორტი თუ უმაღლესი – არჩევანი სწავლის სასარგებლოდ გააკეთა. სამაგიეროდ, მეგობრის სიჭაბუკისდროინდელ გატაცებას აწ განსვენებულმა **სერგო კიკალეიშვილმა** („ფეოლა“) უერთგულა და საუკუნის დასაწყისიდანვე – II არხის ლეგენდარული თავკაცის უკვდავებაში გადანაცვლებიდანვე – მისი სახელობის ხსოვნის ტრადიციული ტურნირი დააფუძნა,





რომელიც საამაყო მამულიშვილის 75-ე წლისთავზე მუშტაიდის ბაღში 25-ედ გაიმართა და აფხაზეთის გუნდის მე-5 გამარჯვებით დასრულდა.

მძაფრი ფინალური ბრძოლის შემდეგ, რომელშიც დევნილებმა ტელეიმედს 3:2 სძლიეს, მემორიალის ორგანიზატორი **გოჩა ხუნდაძე**, როგორც ყოველთვის, სევდიანად გვიმეორებს: – **„ზაზას სული დღესაც გვმართავს“** – და მადლიერების გრძნობით გვაცნობს საზოგადოებრივი მაუწყებლის პატრონაჟით მოწყობილი საიუბილეო ღონისძიების სპონსორებს: ტრადიციული კახური მეღვინეობის დამფუძნებელი **ზურაბ ჩხაიძე**, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერი **ვახტანგ წივწივაძე,** ტოიოტა კავკასია, ბაგრატიონი 1882 (გიორგი დურგლიშვილი) და მტევინო **(მალხაზ ზაუტაშვილი.**

ბუნებრივია, ინდივიდუალური პრიზებით აღინიშნა სანახაობის გამორჩეულ მონაწილეთა ოსტატობაც: საუკეთესო მეკარე – **დავით რაზმაძე,** საუკეთესო მცველი – **ალექსანდრე მერზლიაკოვი** (ფინალში ოქროს გოლის ავტორი), საუკეთესო თავდამსხმელი – **მიხეილ ერგემლიძე,** მემორიალის საუკეთესო ფეხბურთელი – **გიორგი ბიბილაშვილი,** ყველაზე კორექტული გუნდი (სერგო კიკალეიშვილის სახელობის პრიზი) – **მულტიმედიაცენტრი.**

და ბოლოს: რადგან ზაზა დარასელის ნათელი ხსოვნისადმი მიძღვნილი უკვე 25-ე ტურნირი დასრულდა, მოდით, მისი ყველა გამარჯვებული გავიხსენოთ: **მე-2 არხი – 9, საზმაუ – 6, აფხაზეთი – 5, საპატრიარქოს ტელევიზია ერთსულოვნება – 2, რეპორტიორი – 1, მაესტრო – 1 და ტელეიმედი – 1.**

**მომავალ შეხვედრამდე გაისად ივნისში!**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



# ალბათ, საჭირო იყო

**მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მეორე ტურში ლუის ენრიკემ ნახევარი გუნდი ბოტაფოგოსთან ბრძოლაში დასკვნით ნახევარ საათში ჩააბა და დაისაჯა კიდევაც – 0:1.**

განსაკუთრებით თვალშისაცემი გახლდათ პარი სენ-ჟერმენის დაცვის ბურჯის **მარკინიოსის** არყოფნა, რომელიც თანამემამულეთა წინააღმდეგ გამართული შეხვედრის ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე დარჩა და სწორედ მისი საკურატორო ზონიდან გაიტანეს ბრაზილიელებმა გამარჯვების ბურთი.

რაც შეეხება **ხვიჩა კვარაცხელიას**, გარინჩას კლუბთან თამაში აქტიურად დაიწყო, მაგრამ რადგან პარტნიორთაგან, გამორჩეულად – დუეს მხრიდან სათანადო დახმარებას ვერ ეღირსა, თანდათან მეტოქის მარწუხებში მოექცა და ამაოდ ელოდა საგოლე შანსს.

მიუხედავად ამისა, ფრანგული გრანდის ქართველი ლიდერი კვლავაც შეუცვლელ ფიგურად რჩება და, ვიმედოვნებთ, გამოჯანმრთელებული **დემბელეს** დაბრუნების შემდეგ ისევ მრისხანე ძალად იქცევა.

**ატლეტიკო – სიეტლი 3:1.**

**ბოტაფოგო – 6, პსჟ, ატლეტიკო – 3-3, სიეტლი – 0 ქულა.**

ინტერ მაიამი – პორტუ 2:1. გამარჯვების გოლი საჯარიმოდან **მესიმ** გაიტანა.

ტურის ცენტრალურ შეხვედრაში ნავსი, როგორც იქნა, გატყდა და ევროპულმა ბაიერნმა სამხრეთამერიკული ბოკა ხუნიორსი კეინის გოლითა და ასისტით 2:1 დაამარცხა, თუმცა, ტრადიცია იმავე დღეს ფლამენგომ გაამყარა ჩელსის ძლევით – 3:1.

**დაფიქსირდა პირველი კლიმატური კაპრიზიც, რის გამოც რამდენიმე საათით შეწყდა ბენფიკასა და ოკლენდის მატჩი (6:0). თუ გავითვალისწინებთ, რომ გაისად სანაკრებო მუნდიალსაც შტატებმა უნდა უმასპინძლოს, საკითხავია, ბუნებას მაშინ რაღას მოუხერხებენ?**



# ასეთს გაფასებთ!



**პროფესიონალი, მოუღლელი, პრინციპული, სპორტის და განსაკუთრებით – ფეხბურთის უსაზღვროდ მოყვარული – ეს საქმეში.**

**უღალატო, კოლეგიალური, კეთილშობილი, უხმოდ შველის მომგვრელი – ეს მეგობრობაში.**

**და, რაც მთავარია – უბრალოდ, ქუთაისელი. კი გაცვთა ამ ბოლო დროს ეს სიტყვა, მაგრამ მე მაინც ვიტყვი: ვახტანგ გზირაძე – ძველი სატახტოს კოლორიტი.**

**ნახევარსაუკუნოვან იუბილეს გილოცავთ, კოლეგა!**

„სრ“ სპორტის რედაქცია.

# მეუფე შიო: განსაკუთრებით ვთხოვოთ ათონელ წმინდა მამებს, ილოცონ ჩვენთვის!

**დღეს განსაკუთრებით ვთხოვოთ ათონელ წმინდა მამებს, ილოცონ ჩვენთვის, რომ მოვივლოთ გამბედაობა და დიდი სიმტკიცე ქრისტეს შედგომისა, რათა ყოველთვის ვუპასუხოთ უფლის მოწოდებას ფსალმუნის სიტყვებით: „განმზადებულ არს, გული ჩემი შენდამი, ღმერთო,** – ამის შესახებ საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა **შიომ (მუჯირი)** გუშინ ქადაგებისას განაცხადა.

„ძვირფასო მამებო, ძმებო და დებო, გილოცავთ სულთმოფენობიდან მეორე კვირას, რომელიც ეძღვნება ღირსი ათონელი მამების ხსენებას. დღეს არის ასევე რუსეთის მიწაზე გაბრწყინებულ წმინდანთა ხსენება.

შეგახსენებთ, რომ სულთმოფენობას წმინდა ეკლესია აღნიშნავს თავის დაბადების დღეს. სულთმოფენობიდან პირველ კვირას არის ყოველთა წმინდანთა ხსენება, ხოლო დღეს, სულთმოფენობიდან მეორე კვირას, ეკლესია მოგვიწოდებს ღირსი ათონელი მამების თაყვანისცემისკენ, რათა მივბაძოთ მათ რწმენას, ღვთივსულიერ ცხოვრებას, მათ სიწმინდეს.

ეს დღეები დადგენილია ნიშნად იმისა, რომ სულთმოფენობის შემდეგ სულიწმინდა მოქმედებს ეკლესიაში და წარმოშობს დიდ ადამიანებს, წმინდანებს, რომელთა ლოცვით, სიწმინდით, მოხსენიებით, ჩვენ ვიღებთ კურთხევას.

დღეს, როდესაც არის ათონელი მამების ხსენება, ჩვენ სახარებიდან გვესმის მოთხრობა, თუ როგორ მოუწოდა უფალმა იესო ქრისტემ თავის პირველ მოწაფეებს, რომლებიც იყვნენ მეთევზეები და როგორ უპასუხეს მათ ამ მოწოდებას. უფალი იესო ქრისტე შეხვდა ძმებს, ანდრიას და სვიმონს, პეტრედ წოდებულს. მათ დაუტევეს, მიატოვეს თავიანთი ბადეები და გაჰყვნენ ქრისტეს, როცა მან უთხრა, რომ ამიერიდან გახდებით ადამიანთა მებადურები (მთ. 4, 19). შემდეგ უფალმა ნახა სხვა ორი ძმა, იაკობი და იოანე, და მოუწოდა მათ თავისკენ. მათაც მიატოვეს თავიანთი



# „გვჭირდება თუ არა ეროვნული იდეოლოგია?!“

**ამ სათაურით 1998 წელს გაზეთ „ფინანსებში“ გამოქვეყნდა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვახტანგ ერქომაიშვილის სტატია, რომელსაც მძაფრი რეაქცია მოჰყვა.**

**„ფინანსები“, რომელიც ფინანსთა სამინისტროს საუწყებო გაზეთი გახლდათ და რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, მაშინდელი ხელისუფლებისა და საზოგადოების ყურადღების არეალში მოექცა. საფინანსო გაზეთში ასეთი სახელმწიფოებრივი იდეის გაჟღერება ბევრს საჩოთიროდ ეჩვენა და კრიტიკაც არ დამკლებია (განსაკუთრებით, მოქალაქეთა კავშირიდან მიტევდნენ), თუმცა, ჩემდა გასაკვირად, სტატიამ ედუარდ შევარდნაძის განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა თურმე და უბრძანებია, მის თანაშემწესთან, აწგარდაცვლილ თემურ მირიანაშვილთან გამევლო კონსულტაცია. მორიგ ჯერზე კი სტატიის ავტორთან ერთად შევხვედროდი.**

**დიახ, ბ-ნმა თემურმა მაუწყა აღნიშნული თემით პრეზიდენტის დაინტერესება და გამოთქვა ვარაუდი, რომ შესაძლოა შექმნილიყო სახელმწიფო კომისია, რომელიც ეროვნული (სახელმწიფო) იდეოლოგიის შექმნაზე იმუშავებდა.**

**გულწრფელად გითხრათ, გამიხარდა, რადგან იდეის ინსპირატორი ჩემდამი რწმუნებული გაზეთი „ფინანსები“ იყო (სამწუხაროდ, გაზეთის ის ნომერი არ შემომრჩა და არც ეროვნულ ბიბლიოთეკაში იძებნება). არ ვიცი, რა იყო ნამდვილი მიზეზი, მაგრამ არც კომისია შექმნილა და ამ თემაზე ბატონ თემურ მირიანაშვილსაც მეორედ არ შევხვედრივარ. დღევანდელი გადასახედიდან კი ვრწმუნდები, რომ „პატრონებმა“ შევარდნაძეს იდეა არ მოუწონეს!**

**მას შემდეგ 27 წელი გავიდა – საქართველო, როგორც სახელმწიფო, დღესაც ეროვნული (სახელმწიფო) იდეოლოგიის გარეშე არსებობს!**

## რა არის იდეოლოგია და რამდენად საჭიროა მისი არსებობა სახელმწიფოსთვის?!

ოფიციალური განმარტებით: **იდეოლოგია – იდეების, შეხედულებების ერთობლიობაა, რომელიც ადამიანების გარკვეულ ჯგუფში მიღებულ ნორმად, სახელმძღვანელო იდეებად არის აღიარებული.**

ისეთ ტოტალურ კონგლომერატს, როგორც საბჭოთა იმპერია იყო, საკუთარი იდეოლოგია გააჩნდა – **მარქსიზმ-ლენინიზმის** სახით. ეს იყო ერთგვარი ოპიუმი, რომელიც ხალხის მასობრივად „მოწამვლას“ ემსახურებოდა. სახელმწიფოს ერთპარტიული სისტემა ფაქტობრივად კომუნისტურ იდეოლოგიაზე იყო დამყნობილი.

საბჭოთა სისტემას ემსახურებოდა აგიტაციაპროპაგანდის მძლავრი მანქანა, რომელიც არსებითად გამორიცხავდა განსხვავებული აზრის არსებობას (განსხვავებულად მოაზროვნენი სახელმწიფოს მტრებად ცხადდებოდნენ) ქვეყანაში. მახსოვს, ბრეჟნევი მოსკოვში რომ დააცხიკინებდა, „ღვთის წყალობაო“ ერთმანეთს ასწრებდნენ ჩხოროწყუელი და თელაველი მშრომელები. ერთი სიტყვით, ქვეყანა ფორმალიზმისა და ცრუ პროპაგანდის ჭაობში იყო ჩაძირული. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, საბჭოთა იდეოლოგიამ 70 წელზე მეტი გაძლო და მისი მზეც საბჭოთა კავშირთან ერთად ჩაესვენა.

* * *

მსოფლიო პრაქტიკაში რამდენიმე სახის იდეოლოგიას მოიაზრებენ:

**1. მემარჯვენე იდეოლოგია, რომელიც ტრადიციულ ფასეულობებზეა კონცენტრირებული. მას სხვაგვარად კონსერვატიულ იდეოლოგიას უწოდებენ.**

თუ ოფიციალური განმარტებით ვიხელმძღვანელებთ, ეს არის იდეოლოგია, რომელიც მხარს უჭერს ძლიერი სახელმწიფოს შექმნას და რომლის ქვაკუთხედსაც მორალური (ტრადიციული) ფასეულობები წარმოადგენს. მისთვის დამახასიათებელია ინდივიდუალური პასუხისმგებლობა.

**2. მემარჯვენე იდეოლოგიისგან** არსებითად განსხვავდება მემარცხენე იდეოლოგია. იგი ძირითად პრინციპად, სოციალურ თანასწორობას და სოლიდარობას აღიარებს.

**3. კონსერვატიული იდეოლოგიის** საპირისპიროდ აღიქმება ლიბერალური იდეოლოგია, რომელიც თანასწორობის იდეაზეა დაფუძნებული და აღიარებს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებას.

ასევე არსებობს ფაშისტური, რადიკალურად მემარჯვენე ტოტალიტარული-ნაციონალური იდეოლოგია, რომლის ცოცხალი მაგალითი მე-20 საუკუნეში იყო ფაშისტური გერმანია.

გარდა ამისა, მსოფლიო პოლიტიკური სისტემა ცნობს ე.წ. დემოკრატიულ და არადემოკრატიულ რეჟიმებს.

**ფორმალურად, დემოკრატიულია რეჟიმი, როცა სახელმწიფო დონის გადაწყვეტილებები მიიღება საზოგადოების აზრის გათვალისწინებით. თუ ობიექტურად შევაფასებთ, ასეთი იდეალური რეჟიმი ბუნებაში არ არსებობს. თუმცა, არსებობენ სახელმწიფოები, სადაც სამოქალაქო საზოგადოების როლი არც თუ ისე დაკნინებულია.**

რაც შეეხება **არადემოკრატიულ რეჟიმს, ეს არის პოლიტიკური რეჟიმი, რომლის დროსაც მთელი ძალაუფლება თავმოყრილია ერთი პირის, ან ერთი პოლიტიკური პარტიის ხელში. სხვაგვარად, ანალოგიურ რეჟიმებს ავტორიტარულს უწოდებენ. ამის მაგალითი უკვე გვქონდა სააკაშვილის რეჟიმის სახით, სადაც ფეხქვეშ იყო გათელილი ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, კონტროლდებოდა საზოგადოების ყველა სფერო, მათ შორის, პირადი ცხოვრებაც. სააკაშვილის რეჟიმის მთავარი მიზანი მოწინააღმდეგეების ჩამოშორება და საზოგადოებაში შიშის დათესვა იყო.**

არსებობს ე.წ. **ჰიბრიდული რეჟიმიც**, რომლის დროსაც, **მმართველი გუნდის მთავარი მიზანი ხელისუფლების შენარჩუნებაა, სადაც დაბალია პოლიტიკური კულტურა, სუსტია კანონის უზენაესობა, სამოქალაქო საზოგადოება ჩანასახშიც არ არსებობს!**

თუ **ჰიბრიდული რეჟიმებისთვის** დამახასიათებელ თვისებებს გადავხედავთ, საქართველოს დღევანდელი რეალობა ახლოს დგას ასეთ შეფასებასთან. საქმე ისაა, რომ დღევანდელი ხელისუფლების ძალადობით დამხობა პირდაპირ ანგრევს საქართველოს პოლიტიკურ მომავალს, რითაც კარგად სარგებლობს **„ქართული ოცნება“ – მმართველმა გუნდმა კარგად იცის: უმრავლესობა ხმას იმიტომ აძლევს არჩევნებში, რომ ფაშისტურ-„ნაციონალური“ რეჟიმი არ დაბრუნდეს ხელისუფლებაში! სხვა დანარჩენი, გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ზემოთ ჩამოთვლილ პოლიტიკურ კომპონენტებს: ჩვენთანაც ძალიან დაბალია პოლიტიკური კულტურა, „ბუქსაობს“ კანონის უზენაესობა (კრიმინალური ოპოზიცია თავიანთ დაბოლილ და მოსყიდულ მხარდამჭერებიანად შესანიშნავად დაკუნტრუშობენ), რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოებას, იმდენად სუსტია, სალაპარაკოდაც არ ღირს!**

რაც ყველაზე სიმპტომატურია, **სახელმწიფოს არა აქვს საკუთარი იდეოლოგია – „ქართული ოცნების“** მხრიდან კონსერვატიული იდეების პროპაგანდა, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ქვეყანას ტრადიციული ღირებულებების უპირობო დაცვისკენ აქვს კურსი აღებული. ეს რომ ასე არ არის, ამ რამდენიმე დღის წინ ლისის ე.წ. ფესტივალმაც დაადასტურა (აქ არა მარტო გეწაძის „პერფორმანსი“ იგულისხმება).

**დიახ, ქვეყანას არ გააჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული სახელმწიფო (ეროვნული) იდეოლოგია, ანუ შეხედულებათა ერთობლიობა, რომელიც სახელმწიფოს მიერ დაკანონდება და საზოგადოების ნორმად იქნება აღიარებული. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს არა აქვს კომპასი, რომელიც სწორი მიმართულებით სვლაში დაგვეხმარება.**

თუ ობიექტური ვიქნებით, „ნაციონალური“ რეჟიმის პოლიტიკური (ლიბერალური) სისტემა ჩოხასავით მოირგო „ქართულმა ოცნებამაც“, ოღონდ, ფაშისტური ელემენტების გარეშე. ძველი რეჟიმისგან განსხვავებით, ესენი უფრო ლოიალურები არიან – ხელისუფლება ლოიალურია ყოფილი კრიმინალური რეჟიმის მიმართაც, რომელიც ყველა საშუალებით ცდილობს არსებული რეჟიმის დამხობას და ხელისუფლებაში დაბრუნებას!

**გვჭირდება თუ არა ეროვნული (სახელმწიფო) იდეოლოგია?!**

**დიახ, ეროვნული (სახელმწიფო) იდეოლოგიის არსებობა სასიცოცხლოდ აუცილებელია.**

**ვფიქრობ, საქართველოში მოიძებნება ინტელექტუალური რესურსი, რომელიც ეროვნულ (სახელმწიფო) იდეოლოგიას შეიმუშავებს. თუმცა, ამისთვის, როგორც ხელისუფლების, ასევე, საზოგადოების მტკიცე ნებაა საჭირო.**

**დროა, დავიწყოთ დისკუსია.**



**ზაურ ნაჭყებია,**
პუბლიცისტი

ოჯახები, საქმიანობა და შეუდგნენ ქრისტეს (მთ. 4, 21-22).

უფლის ეს მოწოდება ასევე მომართულია ყოველი ჩვენგანისადმი. ეს არის მოწოდება იმ წმინდანებისა, რომლებმაც ყველაფერი მიატოვეს, რათა ქრისტესთან ყოფილიყვნენ. როდესაც სახარებიდან ვკითხულობთ მოციქულებზე, მათ ცხოვრებაზე, ვხედავთ, რომ სულთმოფენობამდე მათში იყო არაერთი სისუსტე. ვხედავთ მათ სისუსტეებს, მათ მერყეობას რწმენაში, სულიერ ცხოვრებაში. ვხედავთ ისეთ თვისებებს, რომლებიც ჩვენც გვახასიათებს, მაგრამ, მათგან განსხვავებით, ამ თვისებების გამო, ჩვენ ვკარგავთ შესაძლებლობას, ვიყოთ ქრისტესთან, ვშორდებით ქრისტეს და ვკარგავთ ამ შესაძლებლობას, რომ ვიგრძნოთ ჩვენი რწმენის ძალა და შინაგანი სიმყარე. მოციქულები კი, მიუხედავად ამისა, მიუხედავად მათი უძლურებისა, ყოველთვის იყვნენ უფალთან. რატომ? იმიტომ, რომ მათ ჰქონდათ ერთი მთავარი თვისება: დიდი გამბედაობა და სიმტკიცე ქრისტეს შედგომისა, ქრისტესთან ყოფნისა!

ამაზე ამბობენ წმინდა მამები, რომ წმინდანს ცოდვილისგან სწორედ ეს მთავარი თვისება გამოარჩევს – გამბედაობა და სიმტკიცე ქრისტესთან ყოფნისა და ეს თვისება ყველაზე მეტად გვაკლია. ამიტომ, როგორც ამბობს წმინდა იოანე ოქროპირი, რა გამართლება უნდა მოვუძებნოთ ჩვენს თავს, როდესაც წმინდანებმა მოიხვეჭეს ყველანაირი სათნოება, ჩვენ კი იმდენად ცარიელი ვართ, რომ არცერთზე არ ვზრუნავთ. იმიტომ კი არ ვართ ასე ღარიბნი სათნოებებით და კეთილი საქმეებით, რომ არ შეგვიძლია, არამედ იმიტომ, რომ არ გვინდა, ნაკლებად გვინდა, ნაკლებად ვიღვწით კეთილი საქმეებისთვის, სათნოებათა მოპოვებისთვის. ამის დასტურია ის, რომ მრავალმა ჩვენნაირი ბუნების მქონე ადამიანმა მიაღწია ამ დიდ სიწმინდეს და გაბრწყინდა ამ სათნოებებით.

ჩვენ დღეს ბედნიერნი ვართ, ვმადლობთ უფალს და ვხარობთ, რომ ამ წმინდანთა შორის დიდი სიმრავლეა ქართველი წმინდანებისა, მათ შორის, ათონის მთაზე მოღვაწე დიდი მამებისა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ დიდებულ დღეს. დღეს განსაკუთრებით ვთხოვოთ ათონელ წმინდა მამებს, ილოცონ ჩვენთვის, რომ მოვიპოვოთ ეს მთავარი თვისება – გამბედაობა და დიდი სიმტკიცე ქრისტეს შედგომისა, რათა ყოველთვის ვუპასუხოთ უფლის მოწოდებას ფსალმუნის სიტყვებით: „განმზადებულ არს, გული ჩემი შენდამი, ღმერთო, განმზადებულ არს გული ჩემი“ (ფს. 107, 2)“, – აღნიშნა **მეუფე შიო მუჯირმა.**




# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306¹6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს გიორგი გველესიანის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.**

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი გველესიანი (პ/ნ 60001101988), თბილისი, გურამიშვილის გამზირი N14ა, სართული 9, ბინა N905/ზესტაფონი, სოფელი შროშა, პირველი ქუჩის II ჩიხი N4

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ზესტაფონი, სოფელი შროშა, პირველი ქუჩის II ჩიხი N4 (საკადასტრო კოდი: 32.07.36.075)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 6000 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 20 ივნისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 4 ივლისი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP110081225;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1100812

**6. მოვალე:** შპს „კომფორტი“ (ს/კ 400199405), თბილისი, გურამიშვილის გამზირი N14ა, სართული 9, ბინა N905;

გიორგი გველესიანი (პ/ნ 60001101988), თბილისი, გურამიშვილის გამზირი N14ა, სართული 9, ბინა N905

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP110081225; ლოტის ნომერი: 1100812).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 4 ივლისის 12:00 საათამდე.




## პაპი ლეო XIV:

# არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხელოვნური ინტელექტი ფუნქციონირებს ადამიანების საკეთილდღეოდ და არა მათ ჩასანაცვლებლად!

**რომის პაპმა პოლიტიკოსები ხელოვნური ინტელექტით შექმნილი გამოწვევების შესახებ გააფრთხილა. კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელმა ახალგაზრდებზე ხელოვნური ინტელექტის პოტენციური ზემოქმედების შესახებ ისაუბრა.**

ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას, რომელსაც იტალიის პრემიერ-მინისტრი ჯორჯია მელონი და 68 ქვეყნის საპარლამენტო დელეგაციები ესწრებოდნენ, რომის პაპმა ხელახლა განიხილა თემა, რომელიც მან პაპობის პირველი რამდენიმე კვირის განმავლობაში არაერთხელ წამოჭრა.

**„არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხელოვნური ინტელექტი ადამიანების საკეთილდღეოდ ფუნქციონირებს, როგორც ინსტრუმენტი – არა მათ დასაკნინებლად, არა მათ ჩასანაცვლებლად. ის, რაც ჩნდება, სინამდვილეში მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელიც დიდ ყურადღებას და შორსმჭვრეტელობას მოითხოვს, რათა ახალი სცენარების კონტექსტშიც კი, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობების საკეთილდღეოდ, ჯანსაღი, სამართლიანი და ჯანსაღი ცხოვრების წესი შეიქმნას“**, – აღნიშნა რომის პაპმა **ლეო XIV-მ.**

# მარიამ ღვთისმშობლის ხატის „ღირს არს“ დღესასწაული

**24 ივნისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის „ღირს არს“ – (მოწყალე) ხსენებას.**

...ათონის მთაზე კონსტანტინე დიდის მიერ დაარსებულ მონასტერში არის სასწაულმოქმედი ხატი, რომელსაც „ღირს არს“ – ეწოდება. აი, რატომაა განსაკუთრებულად განდიდებული ეს ხატი:

**„ერთხელ აღდგომის დღეს, ღამისთევაზე დასასწრებად ერთი ბერი კარეასის ეკლესიაში წავიდა, თავისი მოწაფე სენაკის სადარაჯოდ დარჩა და უბრძანა, რომ მსახურება შინ შეესრულებინა. დაღამებისთანავე მან კაკუნი გაიგონა, როდესაც კარი გამოაღო, დაინახა უცნობი ბერი, რომელიც პატივით მიიღო; როცა ღამისთევის ლოცვის აღსრულების დროს დადგა, მათ ერთად დაიწყეს გალობა. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სადიდებლად მათ წამოიწყეს კოზმა მაიუმელის ძველი საგალობელი, მაგრამ საოცარმა სტუმარმა თქვა, რომ ჩვენთან ასე ადიდებენო ღვთისმშობელს: „ღირს არს ჭეშმარიტად რათა გადიდებდეთ შენ ღვთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ყოვლადუბიწოდ და დედად ღმრთისა ჩვენისა“...**

...ახალგაზრდა ბერს გული აუჩუყდა, როცა ჯერ არსმენილი გალობა გაიგონა და სტუმარს ვედრება დაუწყო, რომ ღვთისმშობლის ამგვარი დიდება მისთვისაც ესწავლებინა, მაგრამ სენაკში არც მელანი და არც ქაღალდი არ აღმოჩნდა. მაშინ სტუმარმა გადაწყვიტა საგალობელი ქვაზე დაეწერა. საოცარი სტუმრის ხელში ქვა ცვილივით დარბილდა და სიტყვები ღრმად ამოიკვეთა.



ამ ამბის შემდეგ წმინდა მთის ეკლესიაში ღვთისმშობელს ახლებურად ადიდებდნენ.

აღსანიშნავია, რომ თურმე ეს უცნაური სტუმარი მთავარანგელოზი ყოფილა. მას შემდეგ ეკლესიები მთავარანგელოზ გაბრიელის გალობას აღასრულებენ.

**გიული ლიპარტია**



# საქართველოს პრეზიდენტმა 37 პირი შეიწყალა

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა 37 პირი შეიწყალა**, – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.

მათივე ცნობით, **შეწყალება შეეხო 29 არასაპატიმრო და 5 საპატიმრო სასჯელის მქონე პირს, ხოლო 3 პირს მოეხსნა ნასამართლობა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული ექსკლუზიური უფლებამოსილების გამოყენება ეფუძნება ჰუმანიზმის პრინციპს და სახელმწიფო ინტერესს.**

# ნორმიდან ამოვარდნილი ორი ტალანტი — ლაშა და ზაზა

# ...დანარჩენს მერე გეტყვი



სიზმარი?.. არა, რაღაც სხვა.

რა ჰქვია იმას, მთვლემარეს რომ წამოგაზორგებს? – ძილი? ღვიძილი? ძილბურანი?..

იდექ და მიღიმოდი. შენებურად, თვალმოჭუტული.

რას მერჩოდი, ბიჭო! შენღა მაკლდი ამ შვილმკვდარ კაცს–აზედივით გაძენძილ და მიგდებულს.

ზინას ვერ მივაგენ. საათიც დავკარგე. ხალხი...ყვავილები... ფეხიც ვიტკინე. შავი მანქანით მივყავდით და გადმოვხტი...

თავი გამანებე-მეთქი, გითხარ და კედლისკენ შევბრუნდი.

არ გეწყინოს. ზურგი კი არ შემიქცევია, ბიჭო!

– ვერ მიცანიო? – ეს როგორღა მკითხე!

კი ვარ ცრემლნახადი და საფლავნაჭამი, მაგრამ არც ისე დაზდურა, შენ ვერ გიცნო.

ამიტომაც მოგდექ და შეგივსე ანკეტა: **ზაზა ხარ, ვანიონ დარასელის** შვილი. მამაშენი დიდუბის პანთეონში განისვენებს ახლახან გარდაცვლილ დედაშენთან, რაისა ხელაიასთან ერთად. ჩემი თანასოფლელი იყო რაისა დეიდა – ნაადრევად დაქვრივებული და მთელი სტუდენტობის დამპურებელი. სიმონ ჩიქოვანის ოჯახსაც კი ამეტებდა ამაში.

გავაგრძელო? რაკი დუმხარ, გავაგრძელებ: ზაფხულია. ხოზისწყალში ვთევზაობთ. შენს უფროს ძმას, ზვიადს, ღაჭაჭია წამოუგია ანკესზე და მასხრად გვიგდებს, – ჭიაყელათი რასაც დაიჭერთ აგერ ვნახავო!

აკი ნახა! წყალწკონდაზე არ ეტანება კალმახი ამგვარ სატყუარას, მაგრამ... ეტყობა, თევზშიც ურევია ხარბი და თავღორია.

დაგირტყა და, მერე როგორ! კინაღამ გადაგიყოლა. ძლივს შეიმაგრე თავი და ძუაც დაიჭიმა. ისე დაიჭიმა, მეჩონგურეს შეშურდებოდა! ცოტაც და, იელვა კალმახმა! თურქის ზეზუთივით გაიღუნა წამიერად და კვლავ ჩქერს გაერჭო! ზედიზედ დაგირტყა და ტარი წაგტაცა, პირველი შენ გადახტი. ტოზაში წამოვემხარულეთ და ერთად ვსტაცეთ ხელი ზამზუკს. იოლად დაგვყვა. ახლაც მიკვირს, რამ გახედნა ასე უცებ. კი არ ხტოდა, თრთოდა და მძიმედ სუნთქავდა.

ბოლოს რომ მოგინახულე, შენც ასე სუნთქავდი, ზაზ.

– ჩემი კალმახი თუ გახსოვსო? – მკითხე და უიმედოდ ჩაიქნიე ხელი – ჩვენი საქართველოც ასე ღაფავს სულსო, მწარედ ჩაიღიმე და ყავა მოითხოვე.

აივანზე ვისხედით, ზაზ – ორნი ვისხედით და, რას არ ვიხსენებდით. მალე რუსუდანიც შემოგვიერთდა, ხელყავიანი.

მერამდენედ მიხსენე ის კალმახი. ცქვიტაიას სასწორზე რომ ავწონეთ და მთელ ქვეყანას იწონიდა!

შვიდკილოიანი იყო, ზაზ, არც მეტი, არც – ნაკლები.

რაც იმ დალოცვილმა დამართა შამათავების უბანს, რა დამავიწყებს: ვინ ადესა ჩამოკოკა და ვინ კაჭიჭი... ღვინოს კი არა, სიხარულს ვსვამდით!

– ამხელა თევზი არავის დაუჭერია ამგანობას, ზაზა და, შენ გაგიმარჯოსო!–ფეხზე წამოდგა თამადა.

„მოხუცი და ზღვა“ თუ გვქონდა წაკითხული მაშინ?

არც ეგზიუპერი გაგვეგონა, მაგრამ... კი მოვდიოდით ბავშვობიდან და კარგადაც მოვდიოდით.

ერთად მოვიხადეთ სტუდენტობის თეთრი სახადი, ერთად დავემშვიდობეთ ბატონ უნივერსიტეტს. შენ ტელევიზია ამჯობინე, მე – პრესა.

შენ მოთხრობებს წერდი, მე – ლექსებს.

**„მეც მყვარებია გოგო,**
**მაგრამ... ეს იყო წინათ,**
**ახლა ისე ვარ, როგორც**
**გადაღებული წვიმა“...**

მართლაც გადაღებულ წვიმასავით ჩაიჩურჩულე იმ დღესაც ეს ჩემი ნაცოდვილარი და ცას ახედე. არ წვიმდა, მაგრამ... გულში წვიმდა, ზაზ.

ცრემლები წვიმდა, უჩუმრად და კოკისპირულად.

* * *

ჩემზე ადრე დაქორწინდი. ახლაც თვალწინ მიდგას ის დილა, საყვირებით რომ მოასკდი ჩვენს ჭიშკარს და, ქალი მოვიტაცეო, მომახარე, სამი „ვოლგა“, რჩეული მაყარბიჭები და ერთადერთ გოგო გახლდა – შუნივით მოშინაურებული.

აბა, რა იქნებოდა, თბილისიდან მუხურამდე იმხელა მანძილია, ენძელასავით გოგო კი არა, ქვა ჩაგარბილდება ხელში.

მოტაცებულისა უკვე არა ეტყობოდა რა და, დედაჩემმაც ხელად ააწრიალა გობ-საცერი.

ისეთი სუფრა გაგვიშალა...მე შენ გეტყვი და, შეეშლებოდა ჩიქოვანის ქალს!

ხოზისწყალგაღმა შენი დედულეთია.

– ჩვენსას რად არ მოიყვანა მოჭყუდუო, – იწყინეს შამათავებმა, თურმე მალე გადმობრძანდნენო, აზარებდნენ ღორჯოჭერია ბიჭებს და...

სამჯერ შეგატრიალათ წაღმა, დედაჩემმა, ნეფე-დედოფალი, სამ დღეს არ აუკრეფია საზედო თეფშის ნამსხვრევები...

* * *

კიდევ რა შეგახსენო, ძმაო?

ბოლო დღეებისა თავადაც უწყი:

მიდიოდი და მიდიოდი, ქვასალესივით გველეოდი ხელში.

მოდიოდნენ და მოდიოდნენ მნახველები.

გრძელდებოდა ნაადრევი პანაშვიდები.

წარამარა ჰკოცნიდი ციცქნა ჯვარს, ყელს რომ გეკიდა.

მალიმალ იწერდი პირჯვარს.

ვერა და ვერ გაგტეხა ტკივილმა.

იმ კალმახივით ფართხალებდა და სულს ღაფავდა რიყეზე ამოგდებული სიკვდილი.

მძიმე და აუწონავი.

* * *

დღეს შენი ორმოცია.

წლისთავზე მეტს გეტყვი.

ახლა კი, ძილი ნებისა, ზაზ...

რაო, რა თქვი? – ორმოცამდე არც მკვდარს მოეკითხება დიდი ჭკუა და აღარც ჭირისუფალს.



მერედა, შენ ხომ ცოცხალი ხარ, ბიჭო?!

**ლაშა გახარია.**

2001 წლის 9 აგვისტო.

**იბეჭდება ზაზა დარასელის სახელობის ტურნირის მთავარი ორგანიზატორის, ცნობილი ჟურნალისტის გოჩა ხუნდაძის თხოვნით.**

(იხ. ამავე ნომრის მე-13 გვ.)

# „სტუდფესტის“ პირველი ეტაპის გამარჯვებულები დააჯილდოვეს

**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა ალექსანდრე წულაძემ, „სტუდფესტი 2025“-ის პირველი ეტაპის გამარჯვებულები დააჯილდოვა და მეორე ეტაპში ჩართულ სტუდენტებს წარმატება უსურვა.**

დასკვნით ღონისძიებაზე მინისტრმა სტუდენტებთან ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასა და გუნდური მუშაობისა აუცილებლობაზე ისაუბრა და ამ კუთხით, „სტუდფესტის“ მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

**„სტუდფესტის“ პირველი ეტაპის ფარგლებში, უნივერსიტეტებს შორის გამართულ სპორტულ ტურნირებსა და საგანმანათლებლო/შემეცნებითი კონკურსებში 15 000-მდე ახალგაზრდა მონაწილეობდა და მათგან 350 გამარჯვებული გამოვლინდა.**



სტუდენტური ფესტივალის მეორე ეტაპი უკვე დაიწყო. ამჟამად მოხალისეობის კომპონენტი მიმდინარეობს და მასში 18 უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები ახორციელებენ მოხალისეობრივ ინიციატივებს. ფესტივალი სექტემბერში კულტურის კომპონენტით გაგრძელდება, რომელიც ექვს განსხვავებულ და მრავალფეროვან კონკურსს მოიცავს.

**სპორტული მიმართულებების ფარგლებში ჩატარდა: ფუტსალი, პადელი, ჩოგბურთი, სასტენდო სროლა, 3X3-ზე კალათბურთი, ქუჩის ფეხბურთი, ფეინთბოლი, კარტინგი, მკლავჭიდი, მაგიდის ჩოგბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭადრაკი, ნარდი, შაში, დარტსი, კლდეზე ცოცვა, ძიუდო, შვიდკაცა რაგბი, მინი ფეხბურთი, სამბოს ტურნირი, ბილიარდი, ბოულინგი, ფრენბურთი, ცურვა, ბადმინტონი, სპრინტი, კიბერსპორტი (ფიფა), ხელბურთი, ჭომარდობა.**

საგანმანათლებლო/შემეცნებითი კონკურსები მოიცავდა ინტელექტუალურ შეჯიბრებას სტუდენტებს შორის, დებატებს და „სითი გეიმს“.

ფესტივალის შემაჯამებელ ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ბააკაშვილი, თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა, უნივერსიტეტების წარმომადგენლები და სტუდენტები.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაზელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოზეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C—323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა
ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 25 ივნისს**